გაზეთი ბოლოს, „ვერსიას" ერთი

ვერსია

№7 (1549) 17 — 23 მარტი ოთხშაბათი 2021 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

ინფორმაციები ოპოზიციის კულუარებიდან

ბოკერია-ბურჯანაძის კოლაბორაცია ანუ ყველაფერი ის, რაზეც პოლიტიკოსები საჯაროდ არ ლაპარაკობენ

ხათუნა ლაგაზიძე: „მოლაპარაკების მეოთხე წევრი რუსეთია"

„ოპოზიცია დიდი ფსიქოლოგიური წნეხის წინაშე დგას!"

კობა ხაბაზი: „თუ მიტინგზე 100 000 ადამიანი ვერ გამოგყავს, ამას ხალხს ნუ აბრალებ, ეს შენი ბრალია!"

რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი პარლამენტის წინ გაშლილი საპროტესტო კარვებიდან

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

ორი პატიმრის გაუჩინარების დაუჯერებელი ამბავი

როგორ აღმოჩნდნენ კრიმინალები ქორწილში – გამოძიების დეტალები

ვინ არის მამაკაცი, რომელმაც ცოლი ნაჯახით მოკლა და ბებიის გვერდით დამარხა

სკანდალური ექსკლუზივი: ნოდარ მელაძისა და მაკა ჩიხლაძის მკვლელობის გეგმის უცნობი დეტალები – ლევან მამალაძე ინფორმაციის წყაროს ასახელებს

„სააკაშვილს მოხარშულს ვიცნობ... დღესაც ფსიქოტროპულ საშუალებებსა და ნემსებზე ზის"

შინაგან საქმეთა მინისტრი ავსტრიის ელჩს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრი, ვახტანგ გომელაური, საქართველოში ავსტრიის რესპუბლიკის ელჩს, თომას მიულმანს შეხვდა. შეხვედრას ასევე ესწრებოდა საქართველოში ავსტრიის პოლიციის ატაშე, გერალდ ჰიორმანი.

მხარეებმა საქართველოსა და ავსტრიის რესპუბლიკის სამართალდამცავ უწყებებს შორის არსებულ მჭიდრო და ნაყოფიერ ურთიერთობაზე ისაუბრეს და საპოლიციო თანამშრომლობის განვითარებაში, პოლიციის ატაშეების როლს გაუსვეს ხაზი.

ვახტანგ გომელაურმა, ავსტრიის ელჩს, ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის შენარჩუნების კუთხით, მიმდინარე წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა და ამ მიმართულებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებული ღონისძიებები გააცნო.

ვახტანგ გომელაურმა, ავსტრიულ მხარეს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაძლებლობების განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის მადლობა გადაუხადა.

გურიის პოლიციამ არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილი სექსუალური ხასიათის დანაშაულისთვის, ოზურგეთში ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის ოზურგეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1991 წელს დაბადებული დ.მ. ოზურგეთში დააკავეს. მას ბრალად ედება წინასწარი შეცნობით, თოთხმეტი წლის ასაკს მიუღწეველი ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება.

დანაშაული 15-დან 20 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მეუღლის არასრულწლოვანი შვილის – 2010 წელს დაბადებული ნ.გ.-ს მიმართ სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება ჩაიდინა. ასევე, დადგინდა, რომ დ.მ. აღნიშნულ ქმედებას, თავისი არასრულწლოვანი გერის მიმართ, სისტემატურად ახორციელებდა.

მამინაცვლის მხრიდან არასრულწლოვანი გერის მიმართ სექსუალური ხასიათის დანაშაულებრივი ქმედების შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე, ოზურგეთის პოლიციის რაიონულ სამმართველოში დაუყოვნებლივ დაიწყო გამოძიება და სამართალდამცველებმა დ.მ. ბრალდებულის სახით დააკავეს.

გამოძიება საქართველოს სსკ-ის 11 პრიმა 138-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ და მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს, რაც წინასწარი შეცნობით, თოთხმეტი წლის ასაკს მიუღწეველი ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი სექსუალური ხასიათის სხვაგვარ ქმედებას გულისხმობს.

პოლიციამ ქუთაისში ქურდობის ფაქტი აღკვეთა – დაკავებულია ოთხი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ქუთაისის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ოთხი პირი ქურდობის მცდელობის ბრალდებით დააკავეს.

დაკავებული არიან: 2002 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი ი.ხ., 1999 წელს დაბადებული, წარსულში ყაჩაღობისთვის ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი ა.ს., 2001 წელს დაბადებული ნ.მ. და 1996 წელს დაბადებული თ.კ.

დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები ქუთაისში, სულხან-საბას გამზირზე მდებარე ერთ-ერთი სუპერმარკეტის გაქურდვას ცდილობდნენ. სამართალდამცველებმა სამი პირი აღნიშნული სუპერმარკეტის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს. მეოთხე ბრალდებული კი, პოლიციამ მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავა.

ჯგუფურად ჩადენილ ქურდობის მცდელობის ფაქტზე, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

სამეგრელოს პოლიციამ სქესობრივი დანაშაულის ბრალდებით ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, აბაშის მუნიციპალიტეტში, გაუპატიურების ბრალდებით, 1981 წელს დაბადებული მამაკაცი დააკავეს.

დანაშაული 6-დან 8 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, 1956 წელს დაბადებულ თანასოფლელ ქალზე, ფიზიკური ძალის გამოყენებით, სექსუალურად იძალადა.

სამართალდამცველებმა მოძალადე მამაკაცი დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე საათში დააკავეს. დანიშნულია ექსპერტიზები, ტარდება შესაბამისი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები.

მომხდარ ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლით მიმდინარეობს.

პოლიციამ ქუთაისში მომხდარი დაჭრის ფაქტი დანაშაულის ჩადენიდან ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ქუთაისის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1996 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი ი.ს., განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 24 თებერვალს, ქუთაისში, მასთან სტუმრად მყოფ მეგობარს – 1978 წელს დაბადებულ ი.გ.-ს, ურთიერთშელაპარაკებისას, ცივი იარაღის გამოყენებით, სხეულზე ჭრილობები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. სამართალდამცველებმა ბრალდებული, მომხდარიდან რამდენიმე საათში, ცხელ კვალზე დააკავეს.

დაჭრილი მამაკაცი სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობდა, სადაც მიმდინარე წლის 10 მარტს გარდაიცვალა.

ბრალდებული დანაშაულს აღიარებს. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცებად ამოიღო.

განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-108-ე მუხლით მიმდინარეობს.

გურიის პოლიციამ ოზურგეთში სუპერმარკეტ „მოდერნის“ დაყაჩაღების ფაქტი გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის ოზურგეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2000 წელს დაბადებული გ.ქ., ყაჩაღობის ბრალდებით, ოზურგეთში დააკავეს.

დანაშაული 5-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული, მიმდინარე წლის 5 მარტს, ოზურგეთში, ექვთიმე თაყაიშვილის ქუჩაზე მდებარე სუპერმარკეტ „მოდერნში“ შეიჭრა, მოლარეს ცივი იარაღის მუქარით, 135 ლარი გასტაცა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, გ.ქ., ბრალდებულის სახით დააკავეს.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

ყაჩაღობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს.

police.ge

ინფორმაციები ოპოზიციის კულუარებიდან

ნინო დოლიძე

ქართულ პოლიტიკაში რა არ მომხდარა და რა არ გვინახავს, მაგრამ ის, რაც ახლა ხდება, ნამდვილი მეორედ მოსვლაა. ყოველ შემთხვევაში, ცალკე ოპოზიციისა და ხელისუფლების მოლაპარაკებებია ერთგვარი წარმოდგენა და ცალკე – ოპოზიციის კულუარებში მიმდინარე პორცესები. ისე, გულწრფელები რომ ვიყოთ, ოპოზიციის კულუარები უფრო საინტერესოა, ვიდრე – ევროპული საბჭოს პრეზიდენტის სპეცწარმომადგენლის მედიაციით წარმოებული მოლაპარაკებები.

ბოკერია-ბურჯანაძის კოლაბორაცია ანუ ყველაფერი ის, რაზეც პოლიტიკოსები საჯაროდ არ ლაპარაკობენ

ახლა, იკითხავთ, ოპოზიციის შიგნით ასეთი რა ხდება, რომ დაგვაინტრიგეო? ერთი შეხედვით, ის ხდება, რაც ყოველთვის ხდებოდა ანუ ხელისუფლების მოწინააღმდეგეები, თითქოს, ერთი იდეის გარშემო არიან გაერთიანებულნი (ეს იდეა, მოგეხსენებათ, ვადამდელი არჩევნები და ე.წ. პოლიტპატიმრების გათავისუფლებაა), მაგრამ სინამდვილეში, როგორც „ვერსიისთვის“ კონფიდენცუალურ წყაროზე დაყრდნობით ხდება ცნობილი, ოპოზიციაში ერთმანეთს ისე უყურებენ, როგორც თხა და მგელი.

ახლა, ჩვენთვის რომ ვთქვათ, ამაში გასაკვირი და მოულოდნელი არაფერია. აბა, ვინმემ მართლა დაიჯერა, რომ ნაციონალური მოძრაობა და ვთქვათ, ნინო ბურჯანაძე, მართლა ერთ აზრზე არიან? ისე, „ნაცებისა“ და ბურჯანაძის მოჩვენებითი „შეხმატკბილობა“ კიდევ გასაგებია – ბოლოს და ბოლოს, წლების წინ, ქალბატონი ნინო ყოფილი მმართველი პარტიის სახე იყო, თან ისეთი სახე, რომ თუ გახსოვთ, მიხეილ სააკაშილმა, საჯაროდ, „ყველა ფოლადზე გამძლე ფოლადიც“ კი უწოდა, მაგრამ აი, გიგა ბოკერიასა და ნინო ბურჯანაძის კოლაბორაცია მსოფლიოს თუ არა, საქართველოს მერვე საოცრება კი ნამდვილად არის ანუ მთელი ცხოვრება, ბატონი ბოკერია რუსეთს აგინებს, სამართლიანადაც და დასავლეთს ასხამს ხოტბას.

ბურჯანაძე კი, ამ კუთხით, როგორც იტყვიან, მეორე პოლუსია – მთელი თავისი დღე და მოსწრება თუ არა, პოლიტიკური კარიერის მნიშნელოვანი ნაწილი იმის მტკიცებას შეალია, აი, საქართველოსთვის სამხედრო ნეიტრალიტეტი ყველაზე იდეალური იქნება და თუ არა რუსეთი, აბა, ჩვენს უსაფრთხოებაზე ვინ იზრუნებსო.

ერთი სიტყვით, ამ ორი პოლიტიკოსის ერთმანეთის გვერდით დაჯდომას ვერავინ წარმოიდგენდა, მაგრამ ხომ იცით, ცხოვრება, მით უმეტეს, პოლიტიკური ცხოვრება მოულოდნელობებით რომაა სავსე. ჰოდა, ეს მოულოდნელობაც 2019 წლის 20 ივნისის მერე დადგა.

ჩვენში დარჩეს და, ბედის ირონიაა, რომ ნინო ბურჯანაძის პოლიტიკური რეინკარნაცია ე.წ. გავრილოვის მოვლენებს უკავშირდება ანუ იმ ქვეყნის დეპუტატი რომ არა, რომელი ქვეყნის პირველ პირსაც, სხვადასხვა დროს, არაერთხელ ესტუმრა, ქალბატონი პოლიტიკოსის პოლიტარენაზე დაბრუნება ძალიან გაჭირდებოდა.

ახლა კი რა ხდება? – ხდება ის, რომ ნინო ბურჯანაძე, პრორუსული წარსულის მიუხედავად, ევროპელ მედიატორებთან მოლაპარაკებებში, პრაქტიკულად, ერთ-ერთი მთავარი ფიგურაა.

როგორ მოხვდა ნინო ბურჯანაძე პროდასავლური ოპოზიციის ავანგარდში? – ამ თემაზე სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ერთის შესახებ „ვერსია“ ადრეც წერდა ანუ კულუარებში ამბობენ, რომ მისი „კრიშა“ გიგა ბოკერიაა.

მოდით, გავყვეთ ამ ვერსიას და დავუშვათ, რომ ბურჯანაძეს ბოკერია ლობირებს, მაგრამ რისთვის სჭირდება ეს ლობირება ევროპული საქართველოს არაოფიციალურ ლიდერს?

საქმეში ჩახედულნი ეჭვობენ, რომ ბოკერიას, ოპოზიციაში, რომელიც ნიკა მელიას დაჭერის შემდეგ, პრაქტიკულად, ლიდერის გარეშე დარჩა, საკუთარი მომხრეები სჭირდება, რადგან ის გააკეთოს, რაც უნდა.

მართალია, ოპოზიციური ერთობის წევრები განსხვავებული პოლიტიკური ღირებულების მატარებლები არიან, მაგრამ ამ მოცემულობაში, მათ, როგორც ამბობენ, ერთიანი დღის წესრიგი აქვთ (ამის შესახებ ზემოთაც ვთქვი – ვადამდელი არჩევნები), მაგრამ წყაროები ამბობენ, რომ ეს ერთიანი დღის წესრიგი, ერთგვარი შირმაა და ოპოზიციაში, სინამდვილეში, იმაზე მიდის „ჯახი“, ვინ იქნება „მთავარი ვიოლინო“.

„მთავარი ვიოლინოს“ ფუნქცია ბოკერიასთვის იმიტომ არის ხელსაყრელი, რომ მთელი ოპოზიცია თავის ჭკუაზე ატაროს და საკუთარი მიზნები განახორციელებინოს“, – ეუბნება „ვერსიას“ ინფორმირებული ადამიანი, რომელიც გარკვეული მოსაზრებებიდან გამომდინარე, საკუთარი ვინაობის გამხელისგან თავს იკავებს.

ჩვენ, ცხადია, დავინტერესდით, თუ რა შეიძლება იყოს ეს მიზანი, რაზეც წყარო პირდაპირი პასუხისგან თავს იკავებს და, უბრალოდ, ამბობს, რომ ყველაფერი ის, რაც 31 ოქტომბრის შემდეგ, ქვეყანაში ხდება, ძალიან მალე დამთავრდება, თან ისე დამთავრდება, რომ ოპოზიცია პარლამენტში შევა.

სხვათა შორის, კულუარულ ინფორამაციას თავი რომც დავანებოთ, პროცესების განვითარება გვაიძულებს, ვიფიქროთ, რომ „დიდი ბოიკოტის“ ფინალი, სწორედ პარლამენტში შესვლა იქნება, რასაც ოპოზიცია, ალბათ, ასე გაამართლებს, აი, ქვეყანაში არსებული არადემოკრატული მმართველობის შესახებ, მთელ ევროპას გავაგებინეთო.

ჩვენთვის რომ ვთქვათ, ოპოზიციას ევროპისთვის ამის გაგება პარლამენტიდანაც შეეძლო, მაგრამ ხმაური ერთგვარი პიარია. პიარი კი, ბევრ ჭორთან ერთად, ბევრ სიკეთესთანაც ასოცირდება.

რა სიკეთეებზეა საუბარი? – მოდით, ამ ეტაპზე, ეს თემა არ გავშალოთ, რადგან ვიღაცებმა ბრალი არ დაგვდონ, გადაუმოწმებელ ინფრომაციას ავრცელებთო, თუმცა ისე, განსჯისთვის, ერთ ძველ სიბრძნეს მაინც გავიხსენებთ. კერძოდ, იმ სიბრძნეს, რომ ქრთამი ჯოჯოხეთსაც ანათებს. დედამიწაზე კი იმაზე დიდი ჯოჯოხეთი, როგორიც პოლიტიკაა, არ არსებობს!

ჰოდა, სანამ გავიგებთ, ქრთამმა ანუ ფულმა ჩვენებური პოლიტიკაც გაანათა თუ არა, მოვლენების განვითარებას თვალი ვადევნოთ, ესე იგი, დაველოდოთ, რა მოხდება მას შემდეგ, რაც საქართველოს დელეგაცია, პრემიერის ხელმძღვანელობით, ბრიუსელიდან დაბრუნდება.

სკანდალური ექსკლუზივი: ნოდარ მელაძისა და მაკა ჩიხლაძის მკვლელობის გეგმის უცნობი დეტალები – ლევან მამალაძე ინფორმაციის წყაროს ასახელებს

მაია მიშელაძე
593-51-90-12

„სააკაშვილს მოხარშულს ვიცნობ... დღესაც ფსიქოტროპულ საშუალებებსა და ნემსებზე ზის“

მას შემდეგ, რაც ტელეკომპანია „პირველის“ ეთერში, ფარული ჩანაწერი გავრცელდა, რომელზეც ბერა ივანიშვილის, ირაკლი ღარიბაშვილისა და ანზორ ჩუბინიძის სატელეფონო საუბრები იყო ჩაწერილი, 18-წლიან დევნილობაში მყოფმა ლევან მამალაძემ სკანდალური განცხადება გაავრცელა. „სტრატეგიული დაგეგმარების ცენტრის“ ხელმძღვანელმა ფართო აუდიტორიას მიმართა და აღნიშნა, რომ ფარული ჩანაწერი მოისმინა, სადაც მიხეილ სააკაშვილი და ზურაბ ადეიშვილი ტელეკომპანია „პირველის“ ჟურნალისტების – ნოდარ მელაძისა და მაკა ჩიხლაძის მკვლელობას, ქვეყანაში სიტუაციის არევასა და რევოლუციას გეგმავდნენ. ლევან მამალაძემ სააკაშვილის გეგმა ჩაშალა და ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებს მიმართა, რომ მათი დაინტერესების შემთხვევაში, დააკავშირებს იმ პირებს, რომლებმაც ეს ფარული ჩანაწერი მოასმენინეს... დეტალების გასარკვევად, „ვერსია“ ლევან მამალაძეს დაუკავშირდა, თუმცა ვიდრე სკანდალურ ინტერვიუს შემოგთავაზებთ, გავიხსენოთ, რა ვითარებაში დატოვა საქართველო და რატომ დაუპირისპირდა ქვემო ქართლის გუბერნატორს მიხეილ სააკაშვილი?

* * *

საქართველო 2003 წლის დეკემბერში დატოვა, როდესაც ახალმა ხელისუფლებამ პარლამენტის წევრობა გააუქმა და სისხლის სამართლის საქმე აღძრა. სააკაშვილთან დაპირისპირება გაცილებით ადრე, ჯერ კიდევ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს დაიწყო, როდესაც საპარლამენტო ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის“ თავმჯდომარე, სააკაშვილი, იუსტიციის მინისტრად დაინიშნა. საქმე ეხება „კვარციტსა“ და „მადნეულს“, სადაც ცრუ ინვესტორები მივიდნენ და თაღლითური გზით, დოკუმენტების გაყალბების შედეგად, ამ საწარმოების ვალები დააგროვეს. მამალაძის თქმით, ყალბი ინვესტორები სააკაშვილს დაუკავშირდნენ და მისი დახმარებით, შევარდნაძეს არწმუნებდნენ, რომ ვალების სანაცვლოდ, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ეს მომგებიანი საწარმოები აუქციონისა და გამოსყიდვის გარეშე გადასცემოდათ.

შევარდნაძემ საქმეში გარკვევა ქვემო ქართლის გუბერნატორს დაავალა, ხოლო ლევან მამალაძე მაშინდელი კონტროლის პალატის (ახლა, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, – ავტ.) თავჯდომარეს, სულხან მოლაშვილს დაუკავშირდა და ამ საწარმოების დოკუმენტაციის შესწავლა სთხოვა. შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ სინამდვილეში, ინვესტორები კი არა, თაღლითები იყვნენ. აი, ამის შემდეგ გადაეკიდა სააკაშვილი მამალაძეს და როგორც თავად გვიამბობს, ჭორები აუგორა, რომ თურმე „ოქროს ზოდებისა და ნიანგების“ მფლობელია. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ 2003 წლის მოვლენებამდე, სამი სატელევიზიო ეთერი შედგა, სადაც მამალაძე-სააკაშვილის დებატების დროს, სააკაშვილი ეთერიდან გაიქცა...

18 წელია, რაც ლევან მამალაძე, ოჯახთან ერთად, დევნილობაში იმყოფება. ამბობს, რომ სააკაშვილმა, „კვარციტისა“ და „მადნეულის“ გამო, პირადი ანგარიშსწორების მიზნით დაგეგმა მისი, როგორც კონკურენტის განადგურება. მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში მოვიდა, მის ოჯახზე სისხლიანი რეპრესიები განხორციელდა. სააკაშვილის დავალებით, პროკურატურამ ყველა დოკუმენტი გადაქექა და როდესაც ვერაფერს მიაგნო, ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე, ლევან მამალაძის ქონებრივ დეკლარაციაში არსებული ინფორმაცია გამოაცხადა დანაშაულებრივად... ამბობს, რომ სააკაშვილის რეპრესიებს შეეწირა მისი ბიძის, მამის, სიძისა და ნათესავების სიცოცხლე. ყველა მისი ახლობელი დაკითხეს, დააშინეს და სამსახურიდან გაათავისუფლეს. ხოლო ოჯახი – მეუღლე, სამი მცირეწლოვანი ბავშვით – ქუჩაში გამოყარეს, ბავშვების გატაცება უნდოდათ, რომ მამალაძე დაეშანტაჟებინათ და იძულებული გახადეს, სამშობლოდან გადახვეწილიყვნენ.

„სახელმწიფო ინტერესებს ვიცავდი. ქვეყანას სახელმწიფო ქონება და საწარმოები შევუნარჩუნე, მაგრამ სააკაშვილის გაპრეზიდენტებიდან ორ კვირაში, „მადნეული“ და „კვარციტიც“ რუსულ კომპანიას გადაეცა 1 ლარად. ბიძამისი წილში ჩაუსვა რუსებს და ოფშორული კომპანიების საშუალებით, დღესაც წილში არიან. მე ჭორები გამივრცელა, თვითონ კი ეს საწარმოები მიისაკუთრა და ახლაც მათი საშუალებით ფინანსდება... 2005 წელს, უკრაინამ პოლიტდევნილის სტატუსი მომანიჭა, 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, როდესაც ქვეყანაში სააკაშვილის ხელისუფლება შეიცვალა, საპარლამენტო კომისიას, რომელსაც რეპრესირებული ადამიანები უნდა შეეწყალა, ყველა დოკუმენტი მივაწოდეთ, მაგრამ სიიდან ამომიღეს. ამას იმით ვხსნი, რომ იმ პერიოდში, „ოცნებას“ ბევრმა ჯგუფმა შეაფარა თავი, რომლებიც ახალ ხელისუფლებაში პორტირებული, ძველი ნაციონალები იყვნენ. ცხადია, სიიდან ისინი ამოიღებდნენ ჩემს გვარს. მას შემდეგ, პროკურატურას მრავალგზის მივმართე, ხოლო შარშან პრეზიდენტსაც, მაგრამ ჩემი საკითხის სამართლებრივ ჭრილში განხილვას ვერსად მივაღწიე“, – გვიამბო ლევან მამალაძემ.

* * *

ახლა კი, დაპირებული, სკანდალური ინტერვიუ **ლევან მამალაძესთან**, რომელმაც უკრაინაში დევნილობის დროს, „სტრატეგიული დაგეგმარების“ ცენტრი შექმნა.

– ბატონო ლევან, საზოგადოებამ თქვენგან შეიტყო, რომ ტელეკომპანია „პირველის“ ჟურნალისტების – ნოდარ მელაძისა და მაკა ჩიხლაძის ლიკვიდაცია იგეგმება. საიდან გაქვთ ეს ინფორმაცია?

– ეს უკავშირდება ჩემს საქმიანობას, რომელიც 2004 წლიდან, დევნილობის პირობებში დავიწყე უკრაინაში. იქ იმიტომ წავედი, რომ ბევრი მეგობარი მყავდა, კერძოდ, რეგიონების ხელმძღვანელები, სახელმწიფო სტრუქტურებში მომუშავე მინისტრები, მოკლედ, მაღალი თანამდებობის პირები, რომლებსაც მანამდე, ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე, ვიცნობდი.

უკრაინაში, „სტრატეგიული დაგეგმარების ცენტრი“ ჩამოვაყალიბეთ, რომელშიც მაღალი დონის ექსპერტები და სპეციალისტები მოვიწვიეთ. ვამუშავებდით უამრავ, მნიშვნელოვან საკითხს და კონსულტაციებს ვუწევდით მაღალი რანგის ჩინოსნებს, თანამდებობის პირებს, ხელმძღვანელებს, როგორც უკრაინაში, ასევე, სხვა ქვეყნებშიც. ჩვენი ძირითადი საქმიანობა იყო კონფლიქტების, პოლიტიკური დაძაბულობების დარეგულირება და საარჩევნო პროცესების წარმართვა. აქედან გამომდინარე, სახელისუფლებო სტრუქტურებთან ურთიერთობაში, ძალიან მნიშვნელოვან ინფორმაციებზე გვქონდა და ახლაც გვაქვს წვდომა. მეტიც, უამრავი, მნიშვნელოვანი კონტაქტი გვქონდა და გვაქვს. ესენი არიან უშიშროების სამსახურების თანამშრომლები, „სბუ“-ს (Служба Безпеки України) წარმომადგენლები, რომლებსაც ახლა საგამოძიებო და კერძო დეტექტიური კომპანიები აქვთ შექმნილი და შესაბამისი ტექნიკური საშუალებები გააჩნიათ, გატეხონ დაცული ხაზები და მოიპოვონ ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაციები.

ტელეკომპანია „პირველის“ ჟურნალისტებთან დაკავშირებული ინფორმაციაც მათ მოიპოვეს და ჩემთან კონტაქტზე გამოვიდნენ. თავდაპირველად, რა თქმა უნდა, ეჭვის თვალით შევხედე და ვუთხარი, რომ აუცილებლად უნდა ვნახო და მოვისმინო-თქო. ეს ჩანაწერები პირდაპირ არ მომცეს, რადგან ინტერესების დაკმაყოფილების გარეშე, დედნების მოცემას არ აპირებდნენ. მათ წარმომადგენელს სხვა ქალაქში შევხვდი, რათა ინფორმაციას გავცნობოდი.

– რა სახის ჩანაწერები ნახეთ?

– სულ ორი სახის ჩანაწერია, აქედან ერთი, სატელეფონო საუბარია მიხეილ სააკაშვილსა და ზურაბ ადეიშვილს შორის. ისინი ტელეფონით საუბრობენ და იხილავენ საქართველოში მკვლელობის განხორციელებასა და რევოლუციის მოწყობის გეგმას, ხოლო მეორე – ვიდეოა, სადაც სააკაშვილი ტელეფონით ესაუბრება ადეიშვილს, მაგრამ ვიდეოში მხოლოდ სააკაშვილის ხმა ისმის.

– ეს ჩანაწერები ავთენტურია?

– უკრაინელი კოლეგები პროფესიონალები არიან

და ზუსტად იციან, რომ ტყუილ ინფორმაციას არავინ წამოეგება. რამდენჯერმე ყურადღებით მოვუსმინე ამ ჩანაწერებს და მათ ავთენტურობაში ეჭვი არ შემპარვია, რადგან სააკაშვილი-ადეიშვილის საუბარი კონტექსტიდან ამოგლეჯილი არ არის და არც სხვადასხვა სახის თემაზე საუბრობენ. მოკლედ, საუბარში ჭრები არ არის და არც ხმები იცვლება. 100%-ით თავს ვერ დავდებ, მაგრამ ვფიქრობ, რომ ჩანაწერები ავთენტურია.

– ბატონო ლევან, კონკრეტულად რა თემაზე საუბრობენ სააკაშვილი და ადეიშვილი?

– გეტყვით: სააკაშვილი უკანასკნელი სიტყვებით აგინებს ოპოზიციას და მის ლიდერებს. ამბობს, ახლა, როცა ნოდარ მელაძემ და მაკა ჩიხლაძემ, ბერა ივანიშვილის, ირაკლი ღარიბაშვილისა და ანზორ ჩუბინიძის ჩანაწერები გამოაქვეყნა, ოპოზიცია ვერ იყენებს იმისთვის, რომ ახლადდანიშნილი პრემიერ-მინისტრი გადააყენოს და სიტუაცია ააგოროსო. სააკაშვილი ამბობს, რომ ყველაფერი ჩემი გასაკეთებელია, ისევ მე უნდა შევქმნა რევოლუციური ფონი, რისთვისაც საჭიროა ბიძგი ანუ ორი ჟურნალისტის მკვლელობაო. პირდაპირ ამბობს, რომ ნოდარ მელაძე და მაკა ჩიხლაძე უნდა მოიკლას, რითაც შეიქმნება რევოლუციური ფონი და ივანიშვილის ხელისუფლებას საბოლოოდ ჩამოვშლითო. იქ ბევრი გინება და უშვერი სიტყვები ისმის, მაგრამ მათი საუბრის ძირითადი შინაარსი ესაა.

სხვათა შორის, უნდა გითხრათ, რომ ადეიშვილი საკმაოდ წყნარად საუბრობს და არც აგრესიას ავლენს. ყველაზე მეტად იმ ფაქტმა შემაშფოთა, რომ ისინი საუბრობენ, თუ ვინ უნდა შეასრულოს ეს მკვლელობები. „უნდა მოვიფიქროთ, ვინ არიან ჩვენიანები, სხვადასხვა უწყებებსა და სტრუქტურებში, უმჯობესია, რომ მოქმედი თანამშრომლები იყვნენო“. სააკაშვილი ამბობს, რომ ამ იდეას ფინანსური უზრუნველყოფა სჭირდება და „წუხს“, რომ რევოლუციური ფონი ისევ მისი შესაქმნელია.

წარმოიდგინეთ, ეს ჩანაწერი რომ მოვისმინე, ჩემი მთავარი ამოცანა იყო, ყველაფერი მეთქვა, თან ჩანაწერი რამდენიმე დღით ადრე იყო გაკეთებული და არავინ იცოდა, მისი რეალიზება რა ეტაპზე იყო. მე გავაკეთე პრევენცია, რათა ჟურნალისტების ხელყოფა არ დაგვეშვა და სააკაშვილის დანაშაულებრივი გეგმა ჩავშალეთ! ასეთ შემთხვევაში, სეირის მაყურებლად ყოფნა გამორიცხული იყო, საათებსაც კი ჰქონდა მნიშვნელობა. თქვენ რომ მსგავსი შინაარსის ჩანაწერი მოისმინოთ, რომელშიც ადამიანების მკვლელობა იგეგმება, როგორ მოიქცეოდით!

– მაქსიმალურად ვეცდებოდი, ინფორმაცია გამევრცელებინა...

– დიახ, ამიტომაც ვიფიქრე, ჩამოვაყალიბე ჩემი პოზიცია და განვაცხადე კიდეც. სხვათა შორის, ამ პრევენციამ იმუშავა, რადგან სააკაშვილი გაყურსულია და აღარ იცის, რა ქნას. მემუქრება და აგრესიას ავლენს, მაგრამ ფაქტობრივად, გეგმა ჩაეშალა. რაც შეეხება ჟურნალისტებს, ისინიც და ოპოზიციის ფლანგზე, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების ლიდერებიც დასაცავები არიან, რადგან კაცმა არ იცის, მაგ ავადმყოფ და მანიაკ ადამიანს, რა უტრიალებს თავში! მისთვის ადამიანის მოკვლა პროცესის შემადგენელი ნაწილია, რათა სიტუაცია არიოს და საკუთარი ამბიციები დაიკმაყოფილოს – ესაა სააკაშვილის ხელწერა!

თუ ძალოვანი სტრუქტურები დაინტერესდებიან, კონტაქტებს მივცემ, შუამავლობას არ ვაპირებ, თვითონ დაეკონტაქტონ უკრაინელებს, მოელაპარაკონ და აიღონ ამ ჩანაწერების ორიგინალები. მართალია, პრევენციამ იმუშავა და ამ ეტაპზე, სააკაშვილის გეგმა ჩაიშალა, მაგრამ ამას დიდი აგრესია და მუქარები მოჰყვა. ეს აგრესია ჩემსკენ მომართეს, სოციალურ ქსელებში არსებულ ტროლ-ბოტებს არ ვგულისხმობ, მათ არც ვაქცევ ყურადღებას, მაგრამ კონკრეტული პირები გამოჩნდნენ, საკუთარი ტელეფონების ნომრებით, რომლებიც მირეკავენ და მემუქრებიან. როცა ვიდეო-მიმართვა გავაკეთე, ჩემს უსაფრთხოებაზე არ მიფიქრია!

– ძალოვანი სტრუქტურებიდან არავინ დაგკავშირებიათ?

– ჯერჯერობით, არავინ დაინტერესებულა და არც კონტაქტზე გამოსულან, მედიიდანაც კი. როდესაც ეს ვიდეო-მიმართვა ანუ სააკაშვილის გეგმის მხილება დავაფიქსირე, შესაბამისი ვიდეო-მიმართვა სოციალურ ქსელში, ჩემს საკუთარ გვერდზე ავტვირთე და დავთაგე საქართველოს მთავრობა, სხვადასხვა უწყებები, ნაციონალური მოძრაობა, ევროპული საქართველო, ლელო. ინგა გრიგოლიას პირადად მივწერე, რადგან დიდი ხანია, ვიცნობ და საკმაოდ დადებითად ვარ განწყობილი. არავისგან რეაგირება არ მოჰყოლია. მეგონა, ტელეკომპანია „პირველი“ მაინც გამოჩნდებოდა, მაგრამ ისინიც არ გამოჩნდნენ.

მხოლოდ „იმედმა“ ჩამწერა. საზოგადოებამ ინფორმაციის შინაარსს კი არ მიაქცია ყურადღება, დაელოდნენ, ვინ შექმნიდა ამისგან საინფორმაციო მოვლენას. თუმცა საინფორმაციო მოვლენად ის საფრთხე კი არ გამოიყენეს, რომლის პრევენციაც განვახორციელე, არამედ ის, რომ „იმედმა“ გაუშვა ინფორმაცია. მერე გამოვიდნენ და თქვეს, რომ ჩემი ეს განცხადება, ხელისუფლების მხარდაჭერა იყო. რა მხარდაჭერაზეა საუბარი, როდესაც ამ ხელისუფლებამ იმის საშუალებაც კი არ მომცა, რომ ჩემს მიმართ კანონი აღსრულებულიყო და სამართლიანობა აღდგენილიყო. ჩემი მიზანი, მანიაკი სააკაშვილის გეგმის ჩაშლა იყო.

– ბატონო ლევან, ეს ამბავი ძველ დროს რატომ გაგონებთ ანუ მელაძე-ჩიხლაძის სავარაუდო მკვლელობასა და წარსულში, გიორგი სანაიას მკვლელობას შორის, პარალელი რატომ გაავლეთ?

– სააკაშვილს მოხარშულს ვიცნობ. არც არავინ უმკურნალა ამ ხნის მანძილზე და დღესაც ფსიქოტროპულ საშუალებებსა და ნემსებზე ზის...

ეს არის საზოგადოებაზე ზეგავლენის მოხდენის ტექნოლოგია, რომლის საფუძველზეც, მასობრივი მღელვარება უნდა გამოიწვიო, რათა პოლიტიკური წყობა შეცვალო. ეს ჩვეულებრივი ტექნოლოგიაა და ამაზე შემიძლია, ლექციების კურსი წავიკითხო. პოლიტტექნოლოგია ითხოვს მკვეთრ, ყურისმომჭრელ, ფაქტობრივ საფუძვლებს. ადამიანის სიკვდილი და სისხლი ხალხზე დიდ ზეგავლენას ახდენს. სააკაშვილმა, ცხონებული სანაიას სიკვდილი, სწორედ ამისთვის გამოიყენა. მაშინ დაიწყო ხალხის ქუჩაში გამოსვლა, რაც 2003 წლის ნოემბრის მოვლენებით დასრულდა.

როდესაც პრეზიდენტი გახდა, სააკაშვილმა ხელისუფლება პირადი ანგარიშსწორებისთვის გამოიყენა, ჩამოაყალიბა ავტორიტარული რეჟიმი, სადაც სისხლისღვრა და ადამიანთა მკვლელობები ჩვეულებრივ მოვლენად აქცია. ვინც ბავშვობაში აწყენინა, ისინიც კი დაიჭირა და მე რომ სამჯერ გამექცა სატელევიზიო ეთერიდან, რადგან სახელმწიფო საწარმოების მითვისებაში ვამხილე, რას მიზამდა, ხომ გესმით?

როცა ხელისუფლებაში აღარ იყო, გაიხსენეთ, რას აკეთებდა – გამოდით, ბარიკადები ააგეთო. სპეცრაზმი რომ შემოვა, ორსული ქალი უნდა მოკვდეს და ხალხს ამით გამოვიყვანთო – ეს მისი სიტყვებია და არც დაუმალავს. მხოლოდ რევოლუცია არის სახელმწიფოს ჩამოშლისა და მისი ხელისუფლებაში მოსვლის ერთადერთი გზა, რასაც ღიადაც აცხადებს.

აქედან გამომდინარე, ის ჩანაწერი რომ მოვისმინე, აღვშფოთდი, რადგან ვიცი მაგ მანიაკის აზროვნება და ისიც ვიცი, რასაც გააკეთებდა. შესაბამისად, პრევენციასა და ჟურნალისტების დაცვას, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

კობა ხაბაზი: „თუ მიტინგზე 100 000 ადამიანი ვერ გამოგყავს, ამას ხალხს ნუ აბრალებ, ეს შენი ბრალია!“

სანამ ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის, ევროპის საბჭოს პრეზიდენტის, შარლ მიშელის პირადი წარმომადგენლის, კრისტიან დანიელსონის მედიაციით, მწვავე პოლიტიკური მოლაპარაკებები დასრულდება, რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის წინ, 20-მდე კარავია გაშლილი – რამდენიმე თვეა, ადამიანები, პროტესტის ნიშნად, ქუჩაში ათენ-აღამებენ და ხელისუფლების მიმართ, კონკრეტულ მოთხოვნებს აყენებენ. როგორია კარავში მყოფი ადამიანების მოსაზრება იმ დიპლომატიურ მოლაპარაკებაზე, რომელიც მმართველ ძალასა და ოპოზიციას შორის, ახლაც მიმდინარეობს და რა შედეგს ელოდებიან? – „ვერსია“ ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერ კობა ხაბაზს ესაუბრა, რომელიც მეექვსე თვეა, ქუჩაში, კარავში ცხოვრობს და მიიჩნევს, რომ ამგვარი წინააღმდეგობის მოძრაობით, ხელისუფლებას აიძულებს, დათმობაზე წავიდეს.



რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი პარლამენტის წინ გაშლილი საპროტესტო კარვებიდან

– ბატონო კობა, მეექვსე თვეა, ჯერ ბათუმში, ახლა კი თბილისში, ფაქტობრივად, ქუჩაში ცხოვრობთ. ამიხსენით, რატომ აირჩიეთ პროტესტის ეს ფორმა და, საერთოდ, როგორია ცხოვრება კარავში?

– კარავში არჩევნების შემდეგ ვარ – როგორც კი შედეგები გამოცხადდა, ერთდროულად, თბილისსა და ბათუმში, დიდი აქცია ჩატარდა. ბათუმის აქციის შემდეგ, აჭარის უმაღლესი საბჭოს წინ კარავი გავშალეთ. არჩევნების ტოტალური გაყალბება აჭარაში ორმაგი იყო, რადგან საპარლამენტოსთან ერთად, აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებიც ჩატარდა.

რატომ ავირჩიე კარავი? – თუ ამბობ, არჩევნები გაყალბდაო და პარლამენტში არ შედიხარ, თავისთავად, წინააღმდეგობის მოძრაობასა და ქუჩას ირჩევ. ცდილობ, მოახდინო ზეწოლა ხელისუფლებაზე, გამყალბებლებზე და აიძულო, რომ ვადამდელი არჩევნებისა და სხვა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად წამოვიდნენ. აქედან გამომდინარე, გადავინაცვლე კარავში. ეს ჩემთვის უცხო ნამდვილად არაა იმიტომ, რომ ეროვნული მოძრაობიდან დაწყებული, 30 წლის განმავლობაში, ძალიან ხშირად მიწევდა კარავში ყოფნა. გარდა ამისა, ზურგზე კარავმოკიდებულს, მთელი საქართველო მოვლილი მაქვს და კარავში ყოფნა ჩემთვის, ლამის მშობლიურია (იცინის)... ამით დისკომფორტს ნამდვილად არ ვგრძნობ, ერთადერთი დისკომფორტი ჩემთვის საქართველოს დღევანდელი ხელისუფლებაა, რომელიც რუსული პოლიტიკის გამტარებელია. ვერ შევეგუები და ვერ ავიტან, რომ ჩემს ქვეყანას ოკუპანტის ხელდასმული ლაქიები მართავდნენ!

– სხვათა შორის, ოპოზიციის ზოგ ლიდერს იმის გამო აკრიტიკებენ, რომ ქუჩის პროტესტს არ უერთდებიან და მაშინ, როცა თანამოაზრეებთან ერთად, სიცივეში პროტესტის უკიდურეს ფორმას მიმართავთ, მხოლოდ განცხადებებით შემოიფარგლებიან...

– ქუჩის პროტესტი და წინააღმდეგობა ის არის, რისი მეშვეობითაც, კაცობრიობას ყველაფერ ღირებულისთვის მიუღწევია, დაწყებული – ადამიანის უფლებებიდან, დამთავრებული – დემოკრატიული ღირებულებებით. ყველაფერი, ყოველთვის, ქუჩის პროტესტითაა მიღწეული! პროტესტს შედეგი ყოველთვის მოაქვს. ასე რომ, იმ ადამიანების გასაგონად, ვისთვისაც ქუჩის საპროტესტო აქციები მიუღებელია, გავიმეორებ: ყველაფერი ღირებული, მიღწეულია პროტესტის ამ ფორმით. არიან პოლიტიკური ლიდერები, რომელთაც მიაჩნიათ, რომ მათი ადგილი კარავში არაა და ტრიბუნასთან, ან მოლაპარაკებებზე უნდა იყვნენ. ამაში, ჩემთვის, საგანგაშო არაფერია. მიუღებელი მხოლოდ ისაა, ისინი თუ ამბობენ, თქვენ არ უნდა იყოთ კარავშიო. არიან ადამიანები, რომელთაც უკეთ, ვთქვათ, დიპლომატია შეუძლიათ და რა თქმა უნდა, ჩვენ ყველა მიმართულებით უნდა ვაწარმოოთ ხელისუფლებაზე ზეწოლა.

მოკლედ, შეცდომა იქნება აქცენტის გაკეთება, რომ შედეგს მხოლოდ დიპლომატიური მოლაპარაკებებით, ან მხოლოდ ქუჩის პროტესტით მივაღწევთ. სამწუხაროდ, ვხედავ მიუღებლობას ორივე მხარეს, არადა, გამარჯვების ფორმულა, სწორედ ამ ორი მიმართულების სინთეზშია. დამერწმუნეთ, ნებისმიერ დიპლომატიურ მოლაპარაკებას, ქუჩაში მძლავრი საპროტესტო მოძრაობა ამყარებს და პირიქით.

– ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის, დიალოგის გადამწყვეტი ეტაპია და საინტერესოა თქვენი, კარავში მყოფი ადამიანების პოზიცია – როგორი უნდა იყოს გადაწყვეტილება, რის შემდეგაც კარავებს დაშლით, შინ წახვალთ და იტყვით, მიზანს მივაღწიეთო?

– ექვსი თვე, მე და ჩემი მეგობრები, კარავში არ ვართ პლებისციტის მოთხოვნით! ამ დროის განმავლობაში, ქუჩაში არ ვართ იმიტომ, რომ შევნიღბოთ, ან გავაკეთილშობილოთ ის ბოროტება, რომელიც ხელისუფლებაშია დაბუდებული. გვაქვს სამი, კონკრეტული მოთხოვნა: ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, პოლიტპატიმრების გათავისუფლება და საარჩევნო ადმინისტრაციის ცვლილება. ნებისმიერი სხვა ფორმატის მოლაპარაკება, ჩვენთვის მიუღებელია, რადგან არ შეიძლება, გამყალბებელ ხელისუფლებას კიდევ ერთი შანსი მისცე! ჩვენი გზავნილი, ვინც საპროტესტო აქციაზე ვართ, მარტივია: ან ვიღებთ შედეგს, ან ყველა უნდა გამოვიდეთ ქუჩაში და ვაიძულოთ ხელისუფლება, წამოვიდეს დათმობაზე. ქუჩაში გამოსვლით მივაღწევთ იმას, რომ ხელისუფლება იძულებული გახდება, დათმობაზე წავიდეს. აქ რევოლუციაზე არაა ლაპარაკი, საუბარია იმაზე, რომ როდესაც ქუჩაში 10 000, ან 100 000 ადამიანი დგას, ხელისუფლებაში აუცილებლად ჩნდებიან ადამიანები, რომლებიც ხვდებიან, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება და ასე ჩაირთვება ხელისუფლების ჩამოშლის მექანიზმი.

– კი, მაგრამ რატომ ფიქრობთ, რომ ხალხი ქუჩაში მასშტაბურად გამოვა? ზოგი ამბობს, რომ ადამიანებს ე.წ. მოძველებული პოლიტიკური სახეები მობეზრდათ და ქუჩის აქციებსაც ამიტომ არ უერთდებიან...

– ორ ძალიან მარტივ ფორმულას გეტყვით, რაშიც ეჭვი არასდროს შემპარვია: ნებისმიერი პოლიტიკოსი, რომელიც ხელს გაიშვერს და იტყვის, ხალხი არ გამოდისო, მწარედაა მოტყუებული, ან უსინდისოა. ხალხი თუ არ გამოდის, პოლიტიკოსებმა საკუთარ თავს დააბრალონ და სხვას – არავის. ყველა არჩევნებში, მილიონზე მეტმა ადამიანმა მისცა ოპოზიციას ხმა. ამ მილიონის 10%, სოციალურად აქტიურია და თუ მიტინგზე 100 000 ადამიანი ვერ გამოგყავს, ხალხს ნუ აბრალებ, ეს შენი ბრალია. ე.ი. ცუდად აკეთებ საქმეს, კეთილი ინებე, გაიწიე და გზა დაუთმე იმ ადამიანებს, რომლებსაც ეს შეუძლიათ. ნუ წუწუნებ და ხალხისკენ ნუ იშვერ ხელს! აქ არ ვგულისხმობ ახალ სახეებს, დრო თავისთავად მოიყვანს ასეთ ლიდერებს. თუ ხალხის დაკვეთა იქნება, აუცილებლად გამოჩნდებიან ისეთი ლიდერები, რომელთაც დღესაც ვხედავ წინააღმდეგობის მოძრაობაში.

– მოკლედ, ბატონო კობა, ამ სამი პუნქტიდან, ერთიც რომ არ დაკმაყოფილდეს, სახლში წასვლას არ აპირებთ, არა?

– საუბარია წითელ ხაზებზე. მოდი, შევხედოთ ამ მოთხოვნებს და დავსვათ კითხვა – გვაქვს თუ არა უკან დასახევი? მორალურ-ზნეობრივი თვალსაზრისით, გვაქვს უფლება, რომ პოლიტიკურ ბატალიებზე, არჩევნებზე ვილაპარაკოთ და ამ დროს, ჩვენი თანამებრძოლები იყვნენ პოლიტპატიმრები? – არა! თუ დავტოვებთ საარჩევნო ადმინისტრაციას და იგივე საარჩევნო კანონმდებლობას, აზრი ეკარგება ვადამდელი არჩევნების მოთხოვნას.

რაც შეეხება ვადამდელ საპარლამენტო არჩენებს, შევეგუოთ გაყალბებულ ხელისუფლებას და ოთხი წელი ვითმინოთ გამყალბებლების მიერ, ქვეყნის მართვა? – ვერ შევეგუებით! ეს სამივე მოთხოვნა ისეთი მინიმალური აუცილებლობაა, რომლის გარეშეც, წარმოუდგენელია ნებისმიერ თემაზე ლაპარაკი. ადამიანი, თუ სურს, გაიმარჯვოს, ზნეობრივად უნდა იყოს მართალი!

თათია გოჩაძე
598-43-50-34

ხათუნა ლაგაზიძე: „მოლაპარაკების მეოთხე წევრი რუსეთია“

„ოპოზიცია დიდი ფსიქოლოგიური წნეხის წინაშე დგას!“

ევროპის საბჭოს პრეზიდენტის პირადი წარმომადგენლის მედიაციით მიმდინარე მოლაპარაკება ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის, დასასრულს უახლოვდება და, როგორც მხარეები აცხადებენ, გადაწყვეტილებას უახლოეს მომავალში მიიღებენ. ამ მოლაპარაკების ფონზე, პოლიტიკური ველი მკვეთრად დაძაბულია და ყველა ელოდება კონსენსუსზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებას, რაც ქვეყანას კრიზისიდან გამოიყვანს. მხარეების თქმით, მოლაპარაკების მაგიდაზე ხელისუფლების წინადადებები დევს. რა შედეგით დასრულდება ევროპელი მედიატორის მიერ წარმართული დიალოგი და რაზე შეიძლება შეჯერდნენ მწვავედ დაპირისპირებული მმართველი ძალა და ოპოზიცია? – „ვერსია“ ანალიტოკოს ხათუნა ლაგაზიძეს ესაუბრა, რომელიც აცხადებს, რომ საქართველოში განვიათარებულ პოლიტიკურ მოვლენებში, რუსეთის „უხილავი ხელი“ მნიშვნელოვან როლს ასრულებს:

– შედეგზე რომ გავიდეთ, აუცილებელია, კარგად გავიაზროთ, ვინ ზის მოლაპარაკების მაგიდასთან. ზედაპირზე ჩანს, რომ მოლაპარაკების სუბიექტები საქართველოს ხელისუფლება და ოპოზიცია არიან. მედიატორის როლში კი ევროკავშირია, მაგრამ თუ კარგად გავაანალიზებთ, მოლაპარაკება, პრაქტიკულად, ოთხსუბიექტიანია. ყველაზე რთული და მძიმე სუბიექტი კი რუსეთია, რომელიც ღიად არ ჩანს, მაგრამ ყველაზე მთავარი აქტორია. თუ ამას არ მივიღებთ, როგორც მოცემულობას, ვერც მოლაპარაკების სწორ ტაქტიკას დაგეგმავენ და ვერც შედეგზე გავლენ.

– იმის თქმა გინდათ, რომ ახლა, საქართველოში, სინამდვილეში, რუსეთისა და დასავლეთის მოლაპარაკება მიმდინარეობს?

– დიახ. ძალიან მძაფრი თუ არ მოგეჩვენებათ ეს შედარება, დაახლოებით, ისეთივე სიმწვავის დაპირისპირებაა რუსეთსა და დასავლეთს შორის საქართველოში, როგორიც 2008 წლის აგვისტოს ომის დროს იყო. განსხვავება ერთადერთია – საბედნიეროდ, დღეს სამხედრო ძალა არაა ჩართული.

– როგორ ფიქრობთ, რუსეთს, ამ შემთხვევაში, რა უნდა?

– რუსეთს, სულ მცირე, ის უნდა, რომ საქართველოში შენარჩუნდეს ფეთქებადსაშიში სიტუაცია და საზოგადოების დაპირისპირების გამწვავება. იმისთვის, რომ ქართული საზოგადოება ორ ნაწილად, იმ დოზით ყოფილიყო გახლეჩილი, რომ ერთმანეთის მოსასმენი ყური დახშული ჰქონოდათ, რუსეთმა ძალიან ბევრი იშრომა, განსაკუთრებით, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში, როცა სრულად აიღო ხელში საქართველოს საინფორმაციო სივრცე და მასირებული შეტევა განახორციელა საქართველოს საზოგადოების ცნობიერებაზე, რათა პოლიტიკური სპექტრის მიმართ უიმედობა, უნდობლობა და კაპიტულანტური განწყობა დაეთესა – „ჩვენ არაფერი შეგვიძლია“. ეს კაპიტულანტური განწყობა ყველაზე საშიში და რუსეთის მოკავშირეა. რუსეთის პროგრამა მაქსიმუმი კი საქართველოს საბოლოო შეთრევაა რუსულ სივრცეში. ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ ამას დასავლეთი ვერ აცნობიერებს, რადგან ეს დასავლეთისთვის, მისი ბოლო საყრდენის დაკარგვის ტოლფარდია.

მნიშვნელოვანი სიტყვა თქვა შარლ მიშელმა, როდესაც საქართველოდან წავიდა, თვალი ამეხილა, როცა საქართველოში ვიყავიო. ეს „თვალის ახელა“ დაგვიანებულია, მაგრამ არა იმდენად, რომ ტრაგიკული შედეგი მივიღოთ. ამიტომ დასავლეთმა უნდა იმოქმედოს პრინციპით – სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს.

მოკლედ, ამ პროცესის რეალური მონაწილე რუსეთია. ამიტომაცაა ასეთი რთული საბოლოო შედეგზე გასვლა. შესაბამისად, დასავლეთმა არ უნდა გამორიცხოს ის ხისტი და მკაცრი მეთოდები ამ მოლაპარაკებაში, რომელსაც რუსეთის მიმართ იყენებს ხოლმე.

– რას იტყოდით ამ პროცესის ქვეყნის შიგნით მონაწილეებზე?

– ხელისუფლებას, პირობითად, ორ ნაწილად გავყოფდი – ერთია ბიძინა ივანიშვილი და მეორე მხარეს ის ლიდერები არიან, რომლებიც ფასადად დატოვა ხელისუფლებაში, მაგრამ დამოუკიდებელი ინტერესები და ამბიციები გაუჩნდათ. ბიძინა ივანიშვილი მაქსიმალურ დათმობაზეც რომ წავიდეს, შეიძლება, ეს მისივე პოლიტიკური ელიტის ინტერესებში არც შედიოდეს, რადგან კარგავენ ყველაფერს – ძალა-უფლებას, გავლენასა და ფინანსებს. ამიტომ მივიღეთ მოცემულობა, სადაც ყველა ფიგურანტს აქვს გამძაფრებული ინტერესი ამ პროცესში და მათი დათმობაზე წამოყვანა რთულია.

ოპოზიცია დგას დიდი ფსიქოლოგიური წნეხის წინაშე და პროგრამა მაქსიმუმის მიღწევაა, რასაც ამდენი ხანია, ცდილობს – რიგგარეშე არჩევნები, პოლიტპატიმრების გათავისუფლება და ფუნდამენტური რეფორმები, რის გარეშეც, ვადამდელი არჩევნები ერთჯერადი აქტი იქნება და ისევ მივიღებთ იმგვარ ხელისუფლებას, რომლის გასტუმრებაც ძვირად დაუჯდება ქვეყანას. პროგრამა მინიმუმი კი ოპოზიციის ერთიანობა და სახის შენარჩუნებაა, რადგან თუ ოპოზიცია გაიხლიჩა – ნაწილი შევიდა პარლამენტში და ნაწილი დარჩა გარეთ, გარწმუნებთ, ორივე მხარის მარგინალიზაციის პროცესი დაიწყება. ისედაც იმედგაცრუებული ამომრჩეველი სრულ დეპრესიაში ჩავარდება, რაც ამ პროცესის ყველაზე ცუდი შედეგი იქნება.

მოკლედ, მოლაპარაკებაში მონაწილე ყველა მხარეს ბევრი აქვს დასაკარგი, ამიტომაც შეგვიძლია, ევროკავშირი მხოლოდ მედიატორად კი არა, მხარედ ვიგულისხმოთ, რომელიც დაინტერესებულია, საქართველომ არ დაკარგოს სუვერენიტეტის უდიდესი ნაწილი და არ გადაიქცეს რუსეთის ფაქტობრივ გუბერნიად.

– პლებისციტი ერთ-ერთი საკითხია, რაზეც ოპოზიციური პარტიები ვერ თანხმდებიან, თუ მსგავსი საკითხი გადაწყვეტილების შემადგენელი გახდა და ოპოზიციის ნაწილი პარლამენტში შევიდა, ნაწილი კი გარეთ დარჩა, როგორ ფიქრობთ, ეს გზა პროცესს ვადამდელ არჩევნებამდე მიიყვანს?

– ოპოზიციის გახლეჩა, როგორც აღვნიშნე, ძალიან გაართულებს ვადამდელ არჩევნებამდე მისვლას. თუ ოპოზიცია გაიხლიჩა და ჩატარდა პლებისციტი, ან სხვა ფორმით იქნა დასმული კითხვა ვადამდელი არჩევნების შესახებ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს, ოპოზიციის ამომრჩეველი იმდენად ჩამოშლილი და იმედგაცრუებული იქნება, რომ მისი მიყვანა საარჩევნო უბნებთან გაცილებით რთული გახდება, ვიდრე ახლაა. მოდით, ობიექტურები ვიყოთ, იმ პოლიტიკური ძალების, რომლებიც პარლამენტში შევლენ, ინტერესი ვადამდელი არჩევნების მიმართ ისეთი მძაფრი აღარ იქნება, როგორიც დღესაა. ისეთი ჟინითა და შემართებით აღარ მოეკიდება ვადამდელი არჩევნების თემას, როგორც ეკიდებოდა აქამდე. ადგილობრივ არჩევნებთან ერთად, ამ კითხვის დასმა, რა ფორმატშიც უნდა იყოს, ძალიან მაღალი რისკის შემცველია, რადგან ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე, ამომრჩევლის გამოცხადება გაცილებით ნაკლებია, ვიდრე – საპარლამენტოზე. არჩევნებს კი ასეთი „კანონი“აქვს – რაც უფრო ნაკლები ამომრჩეველი მიდის, უფრო მეტია სახელისუფლებო ამომრჩევლის წილი, რადგან ხელისუფლება ადმინისტრაციული რესურსის სრულ მობილიზაციას მოახდენს. თავად ადგილობრივი სახელისუფლო ელიტებიც ყველაფერს გააკეთებენ, რომ ადგილობრივი არჩევნების შედეგად, რიგგარეშე არჩევნების დანიშვნის საკითხი ჩავარდეს. ოპოზიცია რამდენად მოახერხებს საკუთარი ამომრჩევლის მობილიზებას, ეს ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა, თუმცა ამ ეტაპზე, რადგან სხვა გამოსავალი არ ჩანს, დასავლეთი დაინტერესებულია კრიზისის მოგვარებით, ვადამდელ არჩევნებამდე მისასვლელი ნებისმიერი გზა ოპოზიციამ უნდა განიხილოს და ზემოთჩამოთვლილი რისკები გადააზღვიოს.

– რას გკარნახობთ ალღო, როგორ პოლიტიკურ სურათს მივიღებთ – რაზე შეჯერდებიან ხელისუფლება და ოპოზიცია?

– ხელისუფლება მიდრეკილია ტრაგიკული შეცდომებისკენ. ამ პარლამენტში რომც შევიდეს ოპოზიცია, არ იქნება გადამზღვევი მმართველი ძალის შეცდომებისა და, ადრე თუ გვიან, „ოცნების“ ხელისუფლებიდან გასტუმრების საკითხი მაინც დადგება დღის წესრიგში. ოპოზიციამ კი უნდა იპოვოს საკუთარ თავში ძალა, გახდეს სასურველი პარტნიორი დასავლეთისთვის, რადგან ამ პროცესში, დასავლეთს კითხვები მხოლოდ ხელისუფლების კი არა, ოპოზიციის მიმართაც აქვს. მას რომ ეგულებოდეს ძლიერი ოპოზიცია პარტნიორად, რომელიც ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ამ ქვეყნის სტაბილურ განვითარებას უზრუნველჰყოფს, გაცილებით ხისტი იქნებოდა „ოცნების“ მიმართ. „ოცნება“ არწმუნებს დასავლეთს, საზოგადოების ერთი ნაწილი იმდენად რადიკალურადაა განწყობილი, რომ ხელისუფლების შეცვლა და თუნდაც კოალიციის პირობებში, „ნაციონალების“ მოსვლა გამოიწვევს სამოქალაქო დაპირისპირებასო, ამის ეშინია დასავლეთს. ამიტომ ოპოზიციისთვის დღეს მთავარი გამოწვევაა, გახდეს ძალა, რომელიც დასავლეთსაც და „ქართული ოცნების“ ელექტორატსაც დაარწმუნებს, რომ არა რევანშზე, არამედ, შერიგებასა და აღმშენებლობაზეა ორიენტირებული.

მოკლედ, რისკები გაცილებით მაღალია ოპოზიციისთვის, ვიდრე – ხელისუფლებისთვის!

როგორ გაიფლანგა ტურიზმის განვითარებისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო თანხები

მაია მიშელაძე
593-51-90-12

ყველა დარღვევა, რომელიც სახელმწიფო აუდიტორებმა აჭარის ტურიზმისა და კურორტების მართვის დეპარტამენტში გამოავლინეს

ტურიზმის განვითარება საქართველოს მთავრობის პრიორიტეტული მიმართულებაა. მეტიც, საერთაშორისო ტენდენციების მიხედვით, ტურიზმი ჩამოყალიბდა, როგორც ეკონომიკის ყველაზე სწრაფად მზარდი დარგი, რომელიც ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინებას უწყობს ხელს. ალბათ, გაინტერესებთ, როგორ ვითარდება ტურიზმი აჭარაში – სწორედ ამ თემით დაინტერესდნენ სახელმწიფო აუდიტორები და მორიგი დასკვნაც გამოაქვეყნეს. აუდიტორულ ანგარიშში ასახულია, როგორც ტურიზმის მიმართულებით არსებული ინფრასტრუქტურული მდგომარეობის ანალიზი, ასევე, მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის ფარგლებში გაცემული სესხების მიზნობრიობაც. რა თქმა უნდა, სახელმწიფო აუდიტორებმა დარღვევები ამ მიმართულებითაც გამოავლინეს, თუმცა ვიდრე დარღვევებს განვიხილავთ, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ აჭარის რეგიონის განვითარების თვალსაზრისით, ტურიზმი ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა, ვიზიტორების ნაკადი და ტურიზმის სფეროდან მიღებული შემოსავლები კი ყოველწლიურად იზრდება. რაც მთავარია, მსოფლიოს მოგზაურობისა და ტურიზმის საბჭოს 2019 წელს გამოქვეყნებული ანგარიშის თანახმად, საქართველო მსოფლიოს იმ 15 ქვეყანას შორის დასახელდა, სადაც მოგზაურობისა და ტურიზმის მონაწილეობა ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ) 10%-ს აღემატება. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის – „საქსტატის“ მონაცემებით, ტურიზმის წილი ქვეყნის მშპ-ში, 2014 წელს – 6.3%, ხოლო 2019 წელს – 8.1% იყო.

ახლა ვნახოთ, კონკრეტულად რა დარღვევები გამოავლინეს სახელმწიფო აუდიტორებმა აჭარის რეგიონის ტურიზმის ინდუსტრიაში. ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, 2017 წლიდან, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალიტეტების ტურისტულად მიმზიდველ ადგილებში, ტურისტებისთვის, დასასვენებელი-საპიკნიკე ადგილების მშენებლობის სამუშაოების შესყიდვას ახორციელებს.

ამ სამუშაოების ადგილზე დათვალიერების შედეგად, სახელმწიფო აუდიტორებმა გამოავლინეს, რომ მიუხედავად საბიუჯეტო რესურსების ხარჯვისა (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან, ამ მიმართულებით, 2017-2019 წლებში, 3 853 800 ლარი გაიხარჯა), ინფრასტრუქტურული პროექტები ვერ ასრულებენ მათზე დაკისრებულ ფუნქციებს.

„ის ადგილები, რომლებიც დასრულებულია და ვიზიტორებს უნდა იღებდეს, მოუვლელი და მიტოვებულია. პროგრამის დაგეგმვისა და სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების დროს გამოვლენილი გარემოებები ადასტურებს, რომ სამინისტროს, როგორც პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში, ასევე, მიღებული პროდუქტის სათანადო მოვლა-პატრონობის მიმართულებით, პრობლემები აქვს, რაც საბოლოოდ, ამ პროგრამის განხორციელების შეფერხებასა და მოსალოდნელი სარგებლის ვერ მიღებას იწვევს“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო „მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამას“ ახორციელებს. ამ პროგრამის ფარგლებში, 2014-2020 წლებში, 40-მა ბენეფიციარმა 2 811 300 ლარის მოცულობის სესხი მიიღო. სესხის მომსახურების თანადაფინანსებაზე, რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გადახდილია 610 600 ლარი, 2016-2019 წლებში – 460 600 ლარი.

„მოპოვებული ინფორმაციით ირკვევა, რომ გაცემული სესხები, 2007-2013 წლებში, სხვადასხვა მიკროსაფინანსო ორგანიზაციიდან, კომერციული ბანკიდან ან/და კერძო გამსესხებლებისგან აღებული სესხების რეფინანსირებას წარმოადგენს. შედეგად გამოვლინდა, რომ პროგრამის დაგეგმვასა და ადმინისტრირებაში არსებული არაეფექტიანი მექანიზმების არსებობის გამო, ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფინანსური რესურსი მოხმარდა უფრო გადახდისუუნარობის რისკქვეშ მყოფი მოქალაქეების სესხის წნეხის შემცირებას, ვიდრე აჭარის რეგიონში, მცირე და საშუალო ტურისტული ობიექტების ინფრასტრუქტურის მოწესრიგებასა და ტურისტული მომსახურების გაუმჯობესებას“.

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, ამავე პროგრამის ფარგლებში, შესაბამისი ხელშეკრულებებით არ განისაზღვრა სათანადო კონტროლის მექანიზმები, რაც ბენეფიციართა ტურიზმის სექტორში საქმიანობის ვალდებულებას უზრუნველყოფდა. შესაბამისად, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს არ აქვს სრულყოფილი ინფორმაცია, რამდენად დაეხმარა აღნიშნული თანადაფინანსების პროგრამა ბენეფიციარებს და რამდენად აგრძელებენ ისინი ტურისტულ სექტორში საქმიანობას.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ტურიზმისა და კურორტების სფეროს მართავს და ამ დარგის განვითარების ხელშეწყობის ერთიან პოლიტიკას ატარებს ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო სტრუქტურა – ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი. ეს დეპარტამენტი სამ პროგრამას ახორციელებს: „ტურიზმისა და კურორტების სფეროს მართვა და დარგის ეფექტიანი განვითარების ხელშეწყობა“, „აჭარის ტურისტული მარკეტინგი ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე“ და „ტურისტული პროდუქტებისა და სერვისების განვითარება“.

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ 2016-2019 წლებში, ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი 30 276 800 ლარით დაფინანსდა. დეპარტამენტის მიერ გაწეული დანახარჯების მნიშვნელოვანი წილი – 19 953 400 ლარი დაიხარჯა პროგრამაზე – „აჭარის ტურისტული მარკეტინგი ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე“.

ამ პროგრამის ფარგლებში, 2016-2019 წლებში, სხვადასხვა მარკეტინგული არხების საშუალებით, სარეკლამო კამპანიები განხორციელდა სამიზნე ქვეყნებში, კერძოდ, აზერბაიჯანში, არაბთა გაერთიანებულ საემიროებში, ბელარუსში, დიდ ბრიტანეთსა და ჩრდილოთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში, გერმანიაში, ესტონეთში, თურქეთში, ისრაელში, ლატვიაში, ლიეტუვაში, პოლონეთში, რუსეთის ფედერაციაში, საუდის არაბეთში, სომხეთში, უკრაინასა და ყაზახეთში.

ამავე პროგრამის ფარგლებში, ოღონდ ამჯერად, შიდა ტურიზმის წახალისების მიზნით, სარეკლამო კამპანია საქართველოს მასშტაბით განხორციელდა. შესაბამისად, აჭარის სარეკლამო ვიდეო-რგოლი გავიდა საქართველოს კინოთეატრების დარბაზებსა და თბილისის დიდი საკონცერტო დარბაზის ფასადის მონიტორზე. გარდა ამისა, აჭარის შესახებ, სარეკლამო-საინფორმაციო აუდიო-რეკლამა განთავსდა რადიო-სადგურებში, აქტიურად მიმდინარეობდა რეგიონის რეკლამირება Facebook-ის ინტერნეტ პლატფორმაზე. მეტიც, განხორციელდა შიდა ტურები ქართველი ჟურნალისტებისა და ბლოგერებისთვის.

„2016-2019 წლებში, ტურიზმის მზარდ სტატისტიკაზე არსებითი გავლენა მოახდინა ახალი კორონავირუსით გამოწვეულმა ინფექციამ – COVID-19, თუმცა უარყოფითად იმოქმედა 2019 წლის ივლისში, რუსეთის ფედერაციის მიერ, ცალმხრივად შეწყვეტილმა პირდაპირმა საჰაერო მიმოსვლამაც. მიუხედავად იმისა, რომ 2016-2019 წლებში, მარკეტინგულ აქტივობებში, 676 564 ლარი დაიხარჯა, 2019 წელს, წინა წელთან შედარებით, ვიზიტორთა რაოდენობა შემცირდა არაბთა გაერთიანებული საამიროებიდან; 2019 წელს, წინა წელთან შედარებით, ტურისტების რაოდენობა შემცირდა პოლონეთიდან და გაერთიანებული სამეფოდანაც. გარდა ამისა, თითქმის იმავე მოცულობის ხარჯების პირობებში, 2019 წელს, წინა წელთან შედარებით, აზერბაიჯანელი ვიზიტორების რაოდენობა 0.9%-ით გაიზარდა, ხოლო ლატვიიდან – 103%-ით“.

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, ამ ქვეყნებიდან, 2019 წელს, ვიზიტორების კლება-ზრდის მიზეზები, ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტს არ შეუსწავლია, რაც ამ პროგრამების მართვაში არსებულ ხარვეზებზე მიუთითებს.

სამართალი
№7 17 მარტი 2021 წ

ორი პატიმრის გაუჩინარების დაუჯერებელი ამბავი

როგორ აღმოჩნდნენ კრიმინალები ქორწილში – გამოძიების დეტალები

ბათო ჯაფარიძე

ალბათ, აღარც კი გახსოვთ, ბოლოს როდის მოხდა, რომ საქართველოში ბადრაგს პატიმარი გაექცა. საბედნიეროდ, პენიტენციური დაწესებულებები ისეა აშენებული, გაქცევა წარმოუდგენელია, სასამართლოში ტრანსპორტირებისას კი პატიმარს ძალიან უნდა გაუმართლოს, შეიარაღებულ ბადრაგს ხელიდან რომ დაუსხლტეს და ასეულობით სათვალთვალო კამერების ფონზე, მიმალვა შეძლოს. ადრე კი ასე არ იყო. არც სენსორული მავთულები არსებობდა, არც – სათვალთვალო კამერები, სასჯელაღსრულებითი დაწესებულებების აბსოლუტური უმრავლესობაც, ლამის ნახევარი საუკუნის აშენებული გახლდათ და სიძველის გამო, კედლების გათხრა თუ განგრევა პრობლემას არ წარმოადგენდა. 15 რესპუბლიკის ერთ იმპერიაში ყოფნის დროს, არცთუ იშვიათი იყო შემთხვევა, როცა ერთი რესპუბლიკიდან მეორეში, პატიმრების ეტაპირება ხდებოდა. ეს რამდენიმე მიზეზით იყო განპირობებული, ყველაზე ხშირად კი იმის გამო, რომ მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებულებს ციმბირისკენ ერეკებოდნენ და ისინი სასჯელს უმკაცრეს პირობებში იხდიდნენ. თუმცა იყო სხვა შემთხვევებიც, როცა პატიმრის ექსტრადიცია აუცილებელი იმის გამო ხდებოდა, რომ დანაშაული, სწორედ კონკრეტულ რესპუბლიკაში ჰქონდა ჩადენილი, მაგრამ სხვა სახელმწიფოს აფარებდა თავს და ერთიანი საძიებო სისტემის მეშვეობით, იქ აკავებდნენ.

„1984 წლის გაზაფხული იდგა. ე.წ. თვითმფრინავის ბიჭების საქმე ახალი მომხდარი იყო და შესაბამისად, აეროფლოტი უმკაცრეს კონტროლზე იყო აყვანილი. შინაგან საქმეთა სამინისტროში ყველამ ვიცოდით, რომ პატიმართა ექსტრადიცია, დროებით მაინც, თვითმფრინავით არ უნდა მოგვეხდინა და ამიტომ, პატიმრები, რომელთა სხვა რესპუბლიკებში გადაყვანა იყო საჭირო, მატარებლით მიგვყავდა. ეს მარტივიც იყო და უსაფრთხოც – დიდ, სამგზავრო მატარებელს ჩაბმული ვაგონი, შუაში გისოსებით გადატიხრული, ერთ მხარეს – პატიმრები, მეორე მხარეს – ბადრაგი და, პრაქტიკულად, 24-საათიანი მეთვალყურეობა“, – გვიყვება პატიმრების თავხედური გაქცევის შესახებ, პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

საქართველოში „გასტროლიორმა“ დამნაშავეებმა რამდენიმე ისეთი სახლი გაქურდეს, სადაც ზუსტად იცოდნენ, რომ დიდი ფული ინახებოდა. რაღა თქმა უნდა, სამართალდამცავებმა მათზე აქტიური ნადირობა გამოაცხადეს, ყველა „მედვეჟატნიკი“ გადაამოწმეს, მაგრამ სახეირო ვერაფერი ნახეს. სამაგიეროდ, მილიციის მუდმივი რეიდებითა და შემოწმებებით შეწუხებულმა ერთ-ერთმა გავლენიანმა კრიმინალმა საქმის მიმცემზე მიუთითა და საქმის გახსნაც უკვე დროის ამბავი იყო. ე.წ. ნაკოლშიკი მალე დააკავეს, სახლიდან ფულიც ამოუღეს და ისიც უთხრეს, თუ „პადელნიკებს“ არ ჩაუშვებ, ყველაფერს მარტო შენ „შეგტენით“, ერთ-ერთი სახლის მეპატრონეს ფულის კუპიურებიდან ნომრები ჰქონდა ჩაწერილი და შენს სახლში ნაპოვნს ემთხვევაო. გაგიკვირდებათ და, ადრე, არაერთი ადამიანი იწერდა კუპიურის ნომრებს, მისი დაკარგვის შემთხვევაში კი სამართალდამცავებს აწვდიდა და შემდეგ ძიება უფრო მარტივდებოდა. ხომ წარმოგიდგენიათ, ახლა რომ იგივეს აკეთებდეს ვინმე, რა საინტერესო იქნებოდა?! მაშინ კი ამას მასიური ხასიათი ჰქონდა.

მოკლედ რომ ვთქვათ, დაკავებული მილიციის ფანდს წამოეგო და „პადელნიკები“ დაასახელა, თუმცა როგორც აღმოჩნდა, ისინი არა საქართველოს, არამედ, რუსეთის მოქალაქეები იყვნენ და საქმის მიმცემის დაკავებამდე ოთხი დღით ადრე, ჩვენი ქვეყანა დატოვეს. მათზე საკავშირო ძებნა გამოცხადდა – რამდენჯერმე ნასამართლევი პირების ადგილსამყოფელის დადგენა რთული საქმე იყო, რადგან მათ კარგად იცოდნენ, როგორ უნდა დამალულიყვნენ და, მით უმეტეს, ახლა, როცა საქართველოდან, დაახლოებით, 140 ათასი მანეთი წაიღეს, რაც მაშინდელი საზომებით, ლამის მეოთხედი მილიონი დოლარი იყო.

ექვსთვიანი ძებნის შემდეგ, ძებნილები სრულიად შემთხვევით, მოსკოვთან ახლოს მდებარე სადგურის მილიციელმა იცნო. მას ჩვევად ჰქონდა, ძებნილი პირების სურათები სახლშიც ჰქონდა გაკრული, სახეები კარგად რომ დამახსოვრებოდა და აგერ, ორივე ძებნილი ამოიცნო. ისინი მშვიდად ჩამოვიდნენ მატარებლიდან და იქვე, პატარა დასახლებაში, ერთ-ერთ სახლში შევიდნენ. როგორც მოგვიანებით გაირკვა, სახლის პატრონი ერთი გალოთებული მოხუცი იყო, ბიჭები თვეში ქირად, 4 ბოთლ არაყს ანუ კვირაში ერთ ბოთლს უხდიდნენ და თანაც, საკუთარი სუფრიდანაც აძლევდნენ ხოლმე საჭმელს. იმავე საღამოს, სახლს ალყა ჯარისკაცებმა შემოარტყეს. ეს ეფექტური იყო, როცა საქმე მკვლელებს ან ყაჩაღებს არ ეხებოდათ. მათ კარგად იცოდნენ, რომ არავინ უნდა მოეკლათ, ქურდობის გამო კი, მაქსიმუმ, შვიდ წელს მისცემდნენ. ამიტომ, როცა დამნაშავეებმა ფანჯარაში გაიხედეს და დაინახეს, რომ სახლის გარშემო ავტომატით შეიარაღებული ორასამდე სამხედრო იდგა, უყოყმანოდ დანებდნენ.

ცნობისათვის: ასეთი სპეცოპერაციების დროს, სამხედროებს ავტომატში ცარიელ მჭიდებს უდებდნენ, რადგან რომელიმე მათგანს შიშით არ გაესროლა. მთავარი გათვლა ფსიქოლოგიაზე იყო და ეს ყოველთვის თუ არა, ასიდან 99 შემთხვევაში ამართლებდა.

დაკავებულების საქართველოში ექსტრადიცია გადაწყდა და ისინი მატარებლის სპეციალური ვაგონით წამოიყვანეს. ოთხი სამხედრო, ორი ოპერმუშაკი და ორი ეჭვმიტანილი – სულ ეს იყო იმ ვაგონის შემადგენლობა. პატიმრებს ორსართულიან საწოლზე ეძინათ, ერთს – მაღლა, მეორეს – დაბლა, გისოსის მეორე მხარეს კი სამართალდამცავები იყვნენ წამოწოლილები და ასე, მთელი დღისა და ღამის განმავლობაში, ერთმანეთს უყურებდნენ. პატიმრებს იქვე ჰქონდათ „პარაშა“, საკვებს გისოსებიდან აწვდიდნენ და ისინი ვერც კი იოცნებებდნენ, თბილისამდე კარი რომ გაეღოთ.

„დაკავებულებს დიდუბეში უნდა დავხვედროდით, ვაგონი უნდა ჩაგვეხსნა და მშვიდად გადმოგვეყვანა პატიმრები, მაგრამ მცხეთიდან დაგვირეკეს, პატიმრები გაქრნენო. სანამ ადგილამდე ჩავიდოდი, ათასი ვერსია დავუშვი, როგორ შეიძლებოდა იმ ვაგონიდან გაქცევა და ვერაფერს მივხვდი. გამორიცხული იყო, ბადრაგს კარი გაეღო, რადგან ეს პირდაპირ ციხეს ნიშნავდა. ბინის ქურდებისთვის კიდევ, საციხედ თავს არავინ გაიხდიდა, მით უმეტეს, დაკავებისას, მათ მთელი ფული ადგილზე ჰქონდათ და ის მილიციამ ამოიღო ანუ გამცილებლებს ვერც ფულით მოხიბლავდნენ, თანაც მხოლოდ ერთი კაცი ხომ არ უნდა „დაეკერათ“, ექვსთან უნდა ეპოვათ საერთო ენა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

ადგილზე მისულ ქართველ სამართალდამცავებს საოცარი სურათი გადაეშალათ. პატიმრების ორსართულიანი საწოლის ქვედა სართულზე, თავის პარალელურად, ვაგონში ხვრელი იყო გაკეთებული. პატიმრები სწორედ ამ ხვრელიდან გაძვრნენ, მაგრამ როგორ მოხდა, ისე ამოთალეს, დაახლოებით, ათი სანტიმეტრის სისქის ხე, რომ ბადრაგმა ვერაფერი გაიგო? არა, რაც მართალია, მართალია – ნათალი რაღაც ძალიან ბასრი მეტალით იყო, მაგრამ მაინც ნათელი გახლდათ – პატიმრებმა ვაგონი ღამით დატოვეს ანუ მაშინ, როცა ბადრაგს არხეინად ეძინა, თუმცა გამომძიებლებმა ივარაუდეს, რომ გაქცეულები მატარებლიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩახტებოდნენ უსაფრთხოდ, თუ ის ძალიან ნელა ივლიდა ან საერთოდ გაჩერდებოდა. ზუსტად იმ ადგილზე, რამდენიმე მილი გადიოდა და სწრაფი სიარულის დროს, უსაფრთხოდ ჩასვლა შეუძლებელი იქნებოდა. სასწრაფო წესით დაკითხეს მემანქანე და მან ის ადგილი დაასახელა, სადაც, წესისამებრ, სვლას ანელებდა – მცხეთამდე, სამ კილომეტრში.

საქმეში ვერტმფრენი ჩაერთო, სამართალდამცავებთან ერთად, ტყე-ღრეს შეიარაღებული ჯარისკაცებიც მოედვნენ, რომლებსაც თოფებში ერთადერთი ტყვია ჩაუდეს და ისიც იმიტომ, გაქცეულების აღმოჩენის შემთხვევაში, ჰაერში რომ გაესროლათ და ამით ნიშანი მიეცათ დანარჩენებისთვის. დღემ ისე ჩაიარა, რომ არავის გაუსვრია ანუ გაქცეულები ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვერავინ გაიგო. ამაოდ დაღალეს ძაღლებიც, მათი კვალი ვერ აიღეს.

„აღარ ვიცოდი, სად უნდა გვეძებნა, თბილისისკენ თუ შიდა ქართლისკენ. ვერ ვხვდებოდით, საით შეიძლებოდა წასულიყვნენ ის ადამიანები, რომლებმაც რეალურად, საქართველოს არცერთი ქალაქი არ იცოდნენ ანუ ისინიც შემთხვევის იმედად იქნებოდნენ და ალალ-ბედზე იმოქმედებდნენ. გადავამწომეთ ყველა საქალაქო ტრანსპორტის მძღოლი, ტაქსები, მაგრამ საინტერესოს ვერაფერს მივაკვლიეთ. მეორე დღეს კი უკვე მთელი შემადგენლობა მხეთაში ვიყავით. ერთი ქალი განყოფილებაში მივიდა და ადგილობრივ სამართალდამცავებს ქოქოლა მიაყარა, რას მიკეთებთ მთელი ღამე, საკუთარი სახლის ეზოდან, თოკზე გაფენილი სარეცხი მომპარეს, ქმარი დღეს, დილით, სამსახურში ვერ წავიდაო. მივხვდით, ტანსაცმელს ვინც მოიპარავდა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

ძალოვნებმა მთელი მცხეთა გადაატრიალეს, თუმცა ვერავინ ნახეს. გაქცეულებს დამალვა აშკარად კარგად ეხერხებოდათ. ძალოვნები უკან ყურებჩამოყრილი ბრუნდებოდნენ, როცა მცხეთის შესასვლელთან, საქორწილო ესკორტი შეხვდათ. მანქანებმა სიგნალით ჩაუარეს სამართალდამცავებს და...

„ბატონო თენგიზ, მანქანა მოვაბრუნოთ, ქორწილში წავიდეთ, მეუბნება ჩემი მოადგილე. კინაღამ ხელი შემოვარტყი, ისე გავბრაზდი, მაგრამ ის აგრძელებს – ამ უცხო ხალხს, უფულოს და უყველაფროს, ჭამა ხომ უნდა? გარისკეს და ტანსაცმელი მოიპარეს, საჭმლის მოპარვას ვერ გარისკავენ, სახლში უნდა შეძვრნენ ვინმესთან. ამიტომ, მაგათთვის ქორწილი საუკეთესო გამოსავალია. მივლენ, ხალხში გაერევიან, უცებ არ მიხვდეს მასპინძელი ან მაყარი, ვინ არიან და ვისთან არიან. გაძღებიან და წავლენ თავიანთ გზაზე მშვიდად. ისე დამისაბუთა მოადგილემ გაქცეულების გეგმები, თითქოს თავის შედგენილი იყო“, – ღიმილით გვიყვება ბატონი თენგიზი.

მართლაც, გზიდან ორი მანქანა მიბრუნდა და მასპინძელს საქმის ვითარება აუხსნეს. მანაც სიხარულით მიიწვია დაუპატიჟებელი სტუმრები და მაშინ, როცა ქურწილი გახურდა, როცა ნასვამი მამაკაცები ერთმანეთის ხვევნა-კოცნაზე გადავიდნენ, სეფის ბოლოში, კალთა აიწია და ორი კაცი შემოძვრა. ისინი უხმოდ მიუსხდნენ მაგიდას და გამგელებული ეცნენ საჭმელს. დაახლოებით, ხუთ წუთში, ორივეს ხელბორკილი ედო და თბილისისკენ მიმავალი მილიციის მანქანაში ისხდნენ.

რაღა თქმა უნდა, მათ ბინის ქურდობები აღიარეს, 7-7 წელიც მიიღეს, ხოლო რაც შეეხება ამოჭრილ ფიცარს...

„უჟანგავი მეტალისგან დამზადებული დანა „ზონიდან“ გამოვიყოლეთ. ვიცოდით, ხეირიანად არ გაგვჩხრეკდნენ, რადგან ვაგონიდან გაქცევა წარმოუდგენელი იყო და ჩვენც ამით ვისარგებლეთ, მონაცვლეობით ვჭრიდით ფიცარს, ბადრაგისთვის კი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რატომ ვიწექით რიგ-რიგობით, ზედა და ქვედა საწოლზე“, – ესეც დაკავებულების აღიარებიდანაა.

კრიმინალმა შური სამართალდამცავის შვილზე იძია

ბათო ჯაფარიძე

როგორ შეეხო ამნისტია დამნაშავეს, რომელიც ქალებს ყურის ბიბილოებს აჭრიდა

არ არსებობს სამართალდამცავი, რომელსაც მომდურავი არ ჰყავს. როცა ფორმა გაცვია, აუცილებლად გიწევს ვიღაცის დაკავება და პასუხისგებაში მიცემა. ჰოდა, იმ ვიღაცას თავიდან მაინც ჰგონია, რომ მისი მთავარი მტერი სწორედ ისაა, ვინც დაიჭირა და ვისი წყალობითაც ციხეში მოხვდა. საბედნიეროდ, პატიმრების აბსოლუტური უმრავლესობა ხვდება, რომ დამნაშავე, პირველ რიგში, თავადაა და პოლიციელი თავის საქმეს ასრულებს. სამწუხაროდ, ყოფილა შემთხვევები, როცა ყოფილ პატიმრებს სამართალდამცავებზე შურისძიება უცდიათ და უფრო სამწუხარო ის გახლავთ, რომ იშვიათ შემთხვევაში, მაგრამ მაინც გამოსვლიათ.

„მილიციაში მუშაობა ახალი დაწყებული მქონდა და რეგიონში რიგითი ოპერი ვიყავი. ჩემი მისვლიდან ორიოდ თვეში, ძარცვის სერია დაიწყო. უცნობი ახალგაზრდა კაცი, ქალებსა და გოგონებს სტაცებდა ოქროს სამკაულს და საყურეებთან ერთად, ყურის ბიბილოს ნაწილიც მიჰქონდა. იშვიათად, რომ ორივე ყურზე გაერისკა, ძირითადად, ერთ ყურზე ჩამოგლეჯდა და გარბოდა. აი, თუ ღამე იყო და ირგვლივ კაციშვილი არ ჭაჭანებდა, მაშინ ორივე ყურზე გლეჯდა. საინტერესო ის გახლდათ, რომ რამდენიმე ქალმა შეშინებულმა შესთავაზა, საყურეებს ჩემით მოვიხსნიო, თუმცა არა – მძარცველს სწორედ ის სიამოვნებდა, ყურის ბიბილოები რომ ეხეოდათ ქალებს და სისხლი თქრიალით მოსდიოდათ“, – იხსენებს პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

სამართალდამცავებმა რამდენიმე ჩასაფრება მოაწყვეს, ღამით ისეთ ადგილებში პატრულირებდნენ, სადაც შეიძლებოდა, მძარცველი გამოჩენილიყო, მაგრამ ამან შედეგი არ მოიტანა. ჰოდა, გადაწყდა, რომ თანამშრომლებს ქალის ფორმა ჩაეცვათ და გამომწვევი საყურეებით ემოძრავათ. ორი დღის შემდეგ, ერთ-ერთ ოპერმუშაკს თავს დაესხნენ და მაშინ, როცა საყურე ჩამოგლიჯეს, რომელიც ყურზე წებოთი იყო მიმაგრებული, მან იარაღი ამოიღო, ჯერ ჰაერში გაისროლა, შემდეგ კი გაქცეულ მძარცველს ტყვია დაადევნა და ფეხში დაჭრა. ათზე მეტი ძარცვის ავტორის დაკავება ყველას გაუხარდა, ჭრილობა სერიოზული არ აღმოჩნდა და მას რვა წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

„სასჯელი სრულად მოიხადა და როცა გამოვიდა, ზუსტად ერთ თვეში, იგივეს კეთება დაიწყო. მე უკვე თბილისში ვიყავი გადმოსული და ხომ წარმოგიდგენიათ, რა დამემართებოდა, როცა გავიგე, რომ იმავე ქალაქში, იგივე ხდებოდა, რაც რვა წლის წინ. სამართალდამცავებს ქალის ფორმების გადაცმა აღარ დასჭირდათ. უბრალოდ, ციხიდან ახლადგამოსულს თვალთვალი დაუწყეს და ფაქტზე დაიჭირეს. მისდა საუბედუროდ, აყვანის ოპერაციას ისევ ის ოპერმუშაკი ხელმძღვანელობდა, რომელმაც პირველად დააკავა. ამჯერად, დამნაშავეს 10 წელი მისცეს და ყველაფერ ამაზე, ძალიან ბევრი ვიცინეთ“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

რაღა თქმა უნდა, ყველა დაკავებულის დამახსოვრებას, თუ არაფერში დასჭირდათ, სამართალდამცავები ვერ ახერხებენ. ამიტომ, ისიც მალე დაივიწყეს. მომხდარიდან ორი წლის შემდეგ, ოპერმუშაკი, რომელმაც ერთი და იგივე დამნაშავე ორჯერ დააკავა, სამუშაოდ დედაქალაქში გადაიყვანეს. მაშინ დედაქალაქში გადასვლა, სხვა სიკეთეებთან ერთად, ბინასაც ნიშნავდა და ამიტომ, მილიციის თანამშრომელს ყველაფერი ეს ძალიან ახარებდა.

„მაქსიმუმი გავაკეთე იმისთვის, რომ ერთ განყოფილებაში ვყოფილიყავით. სიყრმის მეგობარი მაინც სხვა არის და რაც მთავარია, ეგ კაცი საქმეში გამოცდილი მყავდა, თვალდახუჭული ვენდობოდი და ჩვენს საქმეში ნდობა ერთ-ერთი მთავარი არგუმენტია. სიხარულით დამთანხმდა, ვმუშაობდით, გვიხაროდა ერთად ყოფნა და ოჯახებითაც დავუახლოვდით“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

ჰოდა, ხომ წარმოგიდგენიათ, რა მოხდებოდა, როცა ერთ დღეს, განყოფილებაში შეტყობინება შევიდა, ახალგაზრდა გოგოს თავს დაესხნენ, საყურეები ჩამოგლიჯეს და სახეზე სამართებელი დაუსვესო. ბატონი თენგიზი მაშინვე შემთხვევის ადგილზე გავიდა და ხელში თავისი მეგობრის ქალიშვილი შერჩა, რომელიც სასწავლებლიდან ბრუნდებოდა.

„გონებაში, მაშინვე ის მძარცველი ამომიტივტივდა, რეგიონში რომ აგლეჯდა საყურეებს, გადავიანგარიშე და მივხვდი, საქმე სხვასთან მქონდა. მას ათი წელი ჰქონდა მისჯილი, მხოლოდ შვიდი წელი იყო გასული და ერთსა და იმავე დანაშაულზე, თანაც ძალადობრივ ქმედებაზე ბრალდებულს, ამნისტიას არავინ შეახებდა. ჩემი მეგობარი დასაბმელი გახდა, ბღაოდა, არაადამიანურ ხმას გამოსცემდა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

ექიმებმა გოგონას გადარჩენა მარტივად მოახერხეს, მაგრამ ყურის ბიბილოებზე იარა დარჩა, სახეზე კი... მარცხენა საფეთქლიდან ჭრილობა მთელ სახეს კვეთდა და მარჯვენა ლოყის კუთხეში მთავრდებოდა. მთელი შემადგენლობა ფეხზე დადგა, ქალაქი გადააბრუნეს, თუმცა დამნაშავის კვალს ვერ მიაგნეს. დაზარალებულის მამასაც, პირველ რიგში, სწორედ მის მიერ ორჯერ დაკავებული მძარცველი გაახსენდა, თუმცა მიხვდა, ამაზე ფიქრი აბსურდი იყო – რეციდივისტს, სამ წელს არავინ აპატიებდა.

„სხვა გზა არ იყო – შს არქივს მივმართეთ და გამოვითხოვეთ ყველა ანალოგიურ შემთხვევაზე ნასამართლევი პირი ანუ ისინი, რომლებიც ბოლო ექვსი თვის განმავლობაში გათავისუფლდნენ და თბილისში იმყოფებოდნენ. გაოცებისგან შევყვირე, როცა ერთ-ერთი საქაღალდიდან ნაცნობმა სახემ შემომანათა. პირი, რომელიც ერთსა და იმავე საქმეზე ორჯერ იყო დაკავებული, ამნისტიით გაუთავისუფლებიათ. რეკომენდაცია სასჯელაღსრულების დაწესებულების უფროსმა გასცა და სიტყვა-სიტყვით დაწერა, ეს კაცი გამოსწორდა, მზად არის, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაებას და საბჭოთა საქართველოს კეთილსინდისიერი მოქალაქეების რიგებს შეემატოსო. ჩემი მეგობარი საავადმყოფოში გავარდა, არსებობდა საფრთხე, რომ თავდამსხმელი იქაც მიაკითხავდა, მე „ზონის“ უფროსთან წავედი. მან უსინდისოდ დამიდასტურა, რომ ის მოძალადე გამოსწორდა და დამნაშავე სხვაგან უნდა გვეძებნა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

არადა, გოგონამ მოახერხა მოძალადის სახის დანახვა, აღწერა კიდეც და აღწერილობა ზუსტად ემთხვეოდა იმ დამნაშავეს, რომელიც მამამისმა ორჯერ დააპატიმრა. მასზე ძებნა გამოცხადდა, თუმცა სამართალდამცავებს კარგად ესმოდათ, მძარცველის მოძებნა იოლი არ იქნებოდა, ის აუცილებლად ღრმა სოროში დაიმალებოდა და რამდენიმე თვე, გარეთ ცხვირს არ გამოჰყოფდა.

ოთხი თვე გავიდა და მილიციამ ძებნილის კვალს ვერ მიაგნო. მას მხოლოდ დედაქალაქში კი არა, მთელი საქართველოს მასშტაბით ეძებდნენ და სამართალდამცავები მაქსიმუმს აკეთებდნენ, რადგან ეს მათ კოლეგაზე შურისძიება იყო, ასეთ რამეს კი არ პატიობდნენ. მით უმეტეს, საქმე შვილს ეხებოდა, სამართალდამცავის შვილს, რომელსაც ბრალი არ მიუძღვოდა.

საბოლოოდ, აგენტურამ იმუშავა და ერთ დღესაც, დამნაშავის ადგილსამყოფელი ცნობილი გახდა.

„სპეცოპერაცია დავგეგმეთ. მისი ხელმძღვანელი მე ვიყავი და მკაცრად გამაფრთხილეს, რომ დამნაშავე ცოცხლად უნდა აგვეყვანა. ჩემმა მეგობარმა ჩახლეჩილი ხმით იკითხა, გაქცევის მცდელობის დროს რომ შემოგვაკვდეს, სასჯელი რა იქნებაო და მისი კითხვის არსს ყველა მიხვდა. ზემდგომებმა ერთმანეთს გადახედეს და ყრუდ ჩაილაპარაკეს, ისევ რეგიონში მოგვიწევს შენი დაბრუნებაო. რეალურად, ეს მწვანე შუქი იყო“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

როცა სამართალდამცავებმა მძარცველის ადგილსამყოფელს ალყა შემოარტყეს, მან იარაღი ფანჯრიდან გადმოაგდო და ხელებაწეული გამოვიდა. პროცესს არაერთი გამვლელი აკვირდებოდა და მასაც აშკარად ეტყობოდა, რომ არსად გაქცევას აპირებდა. კარგად იცოდა, ზედმეტი მოძრაობის გამო, ტყვიას არავინ დაამადლიდა. დამნაშავე განყოფილებაში ცოცხალი მიიყვანეს, თუმცა ორი დღის შემდეგ, იზოლატორში თავი ჩამოიხრჩო. მართალია, ამის გამო არავინ დაუსჯიათ, თუმცა ის სამართალდამცავი, საკუთარი პატაკის საფუძველზე, კვლავ რეგიონში გადაიყვანეს სამუშაოდ.

„მე ორი რამ ვიცი – ის ნაძირალა თავს არ მოიკლავდა და მეორე, ჩემი შვილისთვის რომ ექნა იგივე, არ ვაცოცხლებდი“, – დაასრულა მოყოლა ბატონმა თენგიზმა.

ბათო ჯაფარიძე

ვინ არის მამაკაცი, რომელმაც ცოლი ნაჯახით მოკლა და ბებიის გვერდით დამარხა

ხუთი წლის ბავშვის სკანდალური მინიშნება – სისხლიანი ოჯახური დრამის დეტალები

პოლიციელებიც ადამიანები არიან – მათაც აქვთ ნერვები, ყოფითი პრობლემები, მაგრამ იძულებულნი არიან, სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს, ყველაფერი ეს დაივიწყონ და საზოგადოებისა და ქვეყნის უსაფრთხოების სადარაჯოზე იდგნენ. ალბათ, ბევრს გინახავთ, თუნდაც დღევანდელ საქართველოში, როგორ აყენებენ ხოლმე დემონსტრანტები პოლიციელებს სიტყვიერ შეურაცხყოფას, არცთუ იშვიათად, ფიზიკურადაც ეხებიან (ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში, პოლიციელზე შეხება სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება), ისინი კი მოთმინებით ცდილობენ, აქციის მონაწილეების დამშვიდებასა და წესრიგის დაცვას.

„ერთი გამორჩეულად პატიოსანი თანამშრომელი მყავდა – ჩუმი, წესიერი, არ სვამდა, არ ეწეოდა, სპორტულ ფორმას ინარჩუნებდა, უქმეებს ცოლ-შვილთან ატარებდა. მოკლედ, ნამდვილი მეოჯახე იყო. პრაქტიკულად, არასდროს დადიოდა ჩვენთან ერთად საქეიფოდ, მაინც არ ვსვამ და საჭმელი სახლშიც მაქვსო, იტყოდა ხოლმე. ჰოდა, სწორედ ის გამომეცხადა ერთ დღეს და აკანკალებული ხმით მითხრა, ცოლი დამეკარგა, გუშინ, შუადღეს, სახლიდან ერთად გავედით, ბებიაჩემის საფლავზე ხის ჯვარი დავამაგრე, იქიდან შინ დავბრუნდით, მაღაზიაში შევივლიო, ასე მითხრა და გაქრაო. გადაამოწმა ნათესავებთან, მეგობრებთან, ახლობლებთან... არსად იყო“, -გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

წესითა და რიგით, ადამიანის ძებნა ოფიციალურად მას შემდეგ უნდა დაწყებულიყო, რაც მისი გაუჩინარებიდან 72 საათი გავიდოდა, მაგრამ საქმე სამართალდამცავის ცოლს ეხებოდა და ამიტომ, არაოფიციალური ძებნა იმ დღესვე დაიწყეს. გამოკითხეს ყველა, ვისი გამოკითხვაც შეიძლებოდა და აღმოჩნდა, რომ ქალი მაღაზიაში არ შესულა. ის, რომ ცოლ-ქმარი შინიდან ერთად გავიდნენ, მეზობლებმაც დაადასტურეს და ისიც თქვეს, უკან მხოლოდ კაცი დაბრუნდა, ძალიან მშვიდად მოდიოდა, აღელვების ნიშან-წყალი არ ეტყობოდაო. ყოველი შემთხვევისთვის, მილიცია სასაფლაოზეც მივიდა, თუმცა იქ ვერაფერი ნახა – ბებიის საფლავი სამიოდე დღის ამოვსებული იყო და ახალი ხის ჯვარიც იდგა ანუ მათი კოლეგა არ ტყუოდა.

სამი დღის შემდეგ, მილიციელის დაკარგული ცოლის ძებნაში უკვე ოფიციალურად მთელი უწყება ჩაერთო, მაგრამ რად გინდა – ქალი ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვერავინ გაიგო. ის აფთიაქში ფარმაცევტად მუშაობდა, მაგრამ კოლეგებმა ბევრი ვერაფერი თქვეს, არ ვმეგობრობდით, ძალიან მძიმე ხასიათი ჰქონდაო. სამართალდამცავებმა კოლეგას 5 წლის შვილის გამოკითხვის უფლება სთხოვეს, იქნებ, ბავშვს ისეთი რამ სცოდნოდა, რაც საქმეს წაადგებოდა და მამას, უბრალოდ, ვერ უმხელდა ანუ გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ ქალს საყვარელი ჰყავდა და მასთან ერთად წავიდა.

ბავშვი სამოქალაქო ფორმაში ჩაცმულმა მილიციის თანამშრომელმა ქალმა დაკითხა, ოღონდ ჯერ ზღაპრები წაუკითხა, შემდეგ ბურთით ეთამაშა და დედის გაუჩინარების თემა ნელ-ნელა შეაპარა, ხომ არ იცი, სად შეიძლება წასულიყოო. პასუხმა ყველა დააბნია – ბავშვი დედის დაკარგვით გახარებული იყო და ამბობდა, ნეტავ, არ დაბრუნდესო.

დეტალურმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ დედა, შვილს სისტემატურად სცემდა, თუ რამეს დააშავებდა, სასტიკად სჯიდა – კუთხეში აყენებდა, აშიმშილებდა და მისი ერთადერთი ხსნა მამის შინ დაბრუნება იყო. მამა მისი ნამდვილი მეგობარი გახლდათ და მისი თანდასწრებით, დედა ვერაფერს უბედავდა, თუმცა სამსახურის გამო, მამა შინ იშვიათად იყო და ახლა, ბავშვს დედის არყოფნა ძალიან ახარებდა.

„ყველაფრის გათვალისწინებით, მთავარ ეჭვმიტანილად, სწორედ ჩემი კოლეგა გვექცა და იმის მიუხედავად, რომ მისგან დანაშაულის ჩადენა ვერ წარმოგვედგინა, მაინც დავკითხეთ. არანაირი აღელვება, არანაირი ნერვიულობა, პირიქით, გვამშვიდებდა, ვიცი, პროცედურააო და კითხვებს დამაჯერებლად პასუხობდა. მის დაკითხვას მეც დავესწარი და დავრწმუნდი, ეს კაცი უბრალო იყო“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

ამასობაში, ერთი კვირა გავიდა და განყოფილებაში კივილით ქალი შევარდა, მაღაზიასთან ეტლი გავაჩერე, პურის საყიდლად შევედი და რომ გამოვედი, 8 თვის ბავშვი ეტლში აღარ დამხვდაო. ყველასთვის მოულოდნელად, სამართალდამცავმა, რომელმაც ცოლი დაკარგა, ფერდაკარგულმა ამოილუღლუღა – ჩემი ცოლის უახლოესი მეგობარი, სწორედ ეს ქალიაო. გამომძიებლებმა ფიქრი სხვა მიმართულებით დაიწყეს. მათი აზრით, დაქალებს შორის რაღაც მოხდა, ქალი შეგნებულად გაუჩინარდა და ახლა, ბავშვის მოპარვით, დაქალს სამაგიერო გადაუხადა. ვერსია იმდენად დამაჯერებლად ჩანდა, რომ ძალოვნებმა დაკარგული ქალის თანამშრომლების სახლები გაჩხრიკეს იმის იმედით, რომ შესაძლოა, რომელიმე მათგანთან მეგობრობდა. ჩხრეკამ შედეგი არ გამოიღო, თუმცა საღამოს, ყველაფერი თავის ადგილზე დადგა: განყოფილებაში ახალგაზრდა ქალი, ჩვილთან ერთად მივიდა.

„დაახლოებით, ერთი წლის წინ, ათი თვის შვილი მომიკვდა. მას შემდეგ, თოჯინას ვახვევ ნაჭერში და ის მიწევს გვერდით, ვერ შევეგუე შვილის დაკარგვას. დღეს, მაღაზიასთან გავიარე, დავინახე ეტლი, სადაც ბავშვი იწვა და აზრზე რომ მოვედი, ეს ბავშვი ხელში მყავდა და საკუთარ სახლში, დივანზე ვიჯექი. ბევრი ვიფიქრე, დამებრუნებინა თუ არა, მაგრამ გამახსენდა, რა დღეში იქნებოდა დედამისი, ამიტომ მოვედი და მზად ვარ, პასუხი ვაგო“, – განაცხადა ქალმა.

ქალი შესამოწმებლად ფსიქიატრიულში გაუშვეს, ბავშვი მშობელს დაუბრუნეს და ვერსია, რომ ჩვილი დაკარგულმა ქალმა მოიპარა, ხუხულასავით დაინგრა. ძიება ისევ კედელზე ურტყამდა თავს და წინ ვერ მიდიოდა. კოლეგას დანარჩენები თვალს ვერ უსწორებდნენ. როგორი საქმეა, სხვა დანაშაულებს ხსნიდნენ და საკუთარი მეგობრის ცოლის ბედის შესახებ ვერაფერს იგებდნენ, თუმცა...

„თვეზე მეტი იყო გასული, როცა ცოლდაკარგული თანამშრომელი ჩემს კაბინეტში შემოვიდა. სამოქალაქო ტანსაცმელში იყო, ხელში „ქსივა“ და იარაღი ეჭირა, მაგიდაზე დამიდო, სკამზე მძიმედ დაეშვა და დაიწყო: ცოლი მე მოვკალი და აღარ შემიძლია ამ ტვირთის ზიდვა. ადრე თუ გვიან, საქმეს მაინც გახსნით და რომც არ გახსნათ, აგერ, გიყვებით ყველაფერს. იმ დღეს, მართლაც, სასაფლაოზე წავედით. ურთულესი ხასიათი ჰქონდა ჩემს ცოლს, მაგრამ ძალიან მიყვარდა, ის ხომ ჩემი შვილის დედა იყო, სიყვარულით შევირთე. ნაჯახით ჯვარს წვერს ვუკეთებდი, მიწაში რომ ჩამერჭო, ის კი ტვინს მიბურღავდა, აბა, შენ რა კაცი ხარ, ამდენი ხანია, ლეიტენანტობას ვერ გასცდი, მე რომ არ ვმუშაობდე, შიმშილით სული გაგვძვრება, ჩექმებს არ მყიდულობ, ქურქი არ მაქვს, ესაო, ისაო... მერე, გარდაცვლილ ბებიას გადასწვდა, ორჯერ იმიტომ გათხოვდა, ბოზი იყოო, დედაშენიც ბოზი იქნებოდა და, სავარაუდოდ, მე ვიღაც უჯიშო ნაბიჭვარს გავყევი ცოლად, თორემ ასეთი უნიათო როგორ ხარო. აზრზე რომ მოვედი, ის დაბლა ეგდო, მე კი ხელში გასისხლიანებული ნაჯახი მეჭირა. სასაფლაოზე კაციშვილის ჭაჭანება არ იყო, ბებიაც ახალი დაკრძალული გახლდათ და საფლავი ახლიდან გავთხარე – ცოლი იქ ჩავაწვინე. მიწა გადავყარე და სახლში მშვიდად დავბრუნდი. ჰო, მშვიდად, რადგან უდიდესი ტვირთი მოვიცილე და შინაგანად, თითქოს ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან, ეს აუცილებლად მოხდებოდა“, – ნაღვლიანად გვიყვება ბატონი თენგიზი.

სასამართლომ სამართალდამცავს, ცოლის მკვლელობისთვის, რვა წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მის განაჩენში შემამსუბუქებელი როლი შვილმა ითამაშა, რომელიც დედ-მამის გარეშე დარჩა, თუმცა დამამძიმებელი გარემოება მისი პროფესია გახლდათ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სანაპირო დაცვა, საქართველოს ტერიტორიულ წყლებში, ნატოს ხომალდებს მასპინძლობს

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვა, საქართველოს ტერიტორიულ წყლებში, ნატოს მუდმივმოქმედ მეორე საზღვაო შენაერთს (SNMG2) მასპინძლობს. შენაერთის შემადგენლობაშია: საფლაგმანო ხომალდი CRISTOBAL COLON (ესპანეთი), REGINA MARIA (რუმინეთი), KEMALREIS (თურქეთი) და SMELI (ბულგარეთი). შენაერთს კონტრადმირალი, მანუელ აგირე ალდერეგია ხელმძღვანელობს.

საპორტო ვიზიტი მიზნად ისახავს საქართველოსა და ალიანსის წევრი და პარტნიორი ქვეყნების საზღვაო ძალებს შორის ურთიერთთავსებადობის ამაღლებას.

კორონავირუსის პანდემიის ფონზე, ნატო-ს მუდმივმოქმედი მეორე საზღვაო შენაერთის ვიზიტი საქართველოში, ჩვენი ქვეყნისადმი მხარდაჭერის მკაფიო გზავნილია. მნიშვნელოვანია, რომ ნატოს საზღვაო შენაერთის ვიზიტები საქართველოს შავი ზღვის პორტებში რეგულარულ ხასიათს ატარებს, რაც შავი ზღვის უსაფრთხოების განმტკიცების კუთხით, ნატო-საქართველოს თანამშრომლობის ერთ-ერთი ხელშესახები შედეგია.

შენაერთის ვიზიტი საქართველოში, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციების სრული დაცვით ხორციელდება. COVID-19-ის შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით, შეხვედრები გაიმართება დისტანციურად, დაგეგმილი ერთობლივი წვრთნები კი მხოლოდ ხომალდების მანევრებს ითვალისწინებს, ეკიპაჟების ურთიერთქმედების გარეშე.

ნატოს ხომალდები საქართველოს ტერიტორიულ წყლებს 18 მარტს, შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვასთან ერთად დაგეგმილი წვრთნების დასრულების შემდგომ დატოვებენ.

პოლიციამ კასპში განზრახ მკვლელობის ბრალდებით ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1991 წელს დაბადებული ზ.კ., განზრახ მკვლელობის ბრალდებით, კასპში დააკავეს.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მამაკაცმა, 1987 წელს დაბადებულ ნ.ღ.-ს, ანგარიშსწორების მიზნით, ცივი იარაღით, სხეულზე ჭრილობები მიაყენა, რის შედეგადაც იგი ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ზ.კ. მომხდარიდან მალევე, ცხელ კვალზე დააკავეს. ბრალდებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, ნივთმტკიცების სახით ამოღებულია დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

შინაგან საქმეთა მინისტრს ახალი მოადგილე ჰყავს

შინაგან საქმეთა მინისტრს, ვახტანგ გომელაურს ახალი მოადგილე ჰყავს. საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებით, ამ თანამდებობაზე დაინიშნა ალექსანდრე დარახველიძე, რომელიც ამავდროულად, შინაგან საქმეთა სამინისტროს საპარლამენტო მდივანი იქნება.

ალექსანდრე დარახველიძე სამართალმცოდნეობის მაგისტრია. მას 2019 წლიდან ამ დრომდე, შინაგან საქმეთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის დირექტორის პოზიცია ეკავა. 2018-2019 წლებში, დარახველიძე საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე იყო. 2018 წელს, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მოადგილე გახლდათ, მანამდე კი ამავე სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი იყო.

2009-2012 წლებში, დარახველიძე, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში სხვადასხვა პოზიციაზე მუშაობდა.

ალექსანდრე დარახველიძე რამდენიმე უნივერსიტეტში ეწევა აკადემიურ საქმიანობას, არის კავკასიის უნივერსიტეტისა და ევროპის უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფაქტი გამოავლინა – დაკავებულია ორი პირი



შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა, სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურის თანამშრომლებთან ერთად ჩატარებული საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფაქტი გამოავლინეს. სამი პირის მიმართ ჩადენილი ტრეფიკინგის ბრალდებით, დაკავებულია მამა-შვილი: 1960 წელს დაბადებული ბ.წ. და 1994 წელს დაბადებული მ.წ.

დანაშაული 12-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები, 2015-2016 წლებში, სომხეთის რესპუბლიკის სამ მოქალაქეს კარგ სამუშაო პირობებს დაჰპირდნენ, დაეხმარნენ მათ საჭირო დოკუმენტაციის შეგროვებაში და საკუთარი ავტომობილით საქართველოში ჩამოიყვანეს. ბ.წ.-მ და მ.წ.-მ, აღნიშნული პირები მიიყვანეს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი სოფლის ახლოს მდებარე საქონლის ფერმაში, სადაც მუქარითა და იძულებით უწევდნენ შრომით ექსპლუატაციას, ჩამოართვეს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ანაზღაურების გარეშე, მრავალი წლის განმავლობაში, ამყოფებდნენ მონობის თანამედროვე პირობებში. გარდა ამისა, ბრალდებულები უკანონოდ დატყვევებულ ადამიანებს თავისუფლად გადაადგილებას უზღუდავდნენ და მუდმივად აკონტროლებდნენ, როგორც პირადად, ასევე, საცხოვრებელ სახლსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე დამონტაჟებული სათვალთვალო ვიდეოკამერების საშუალებით.

სამართალდამცველებისთვის აღნიშნული დანაშაულის შესახებ მაშინ გახდა ცნობილი, როდესაც სომხეთის ერთ-ერთმა მოქალაქემ ფერმიდან გაქცევა მოახერხა და საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთას შეეცადა სომხეთის რესპუბლიკის მიმართულებით, რა დროსაც, იგი სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა შეაჩერეს.

სამი პირის მიმართ ჯგუფურად ჩადენილ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფაქტზე, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე პრიმა მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს.

საპატრულო პოლიციამ გორში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1988 წელს დაბადებული გ.ს. გორში დააკავეს. მას ბრალად ედება ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარება და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ხულიგნობის ჩადენა.

დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა გორში, ერთ-ერთ ქუჩაზე, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენიმე უმისამართო გასროლა განახორციელა. გ.ს.-მ, დაკავებისას, წინააღმდეგობა გაუწია საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს.

სამართალდამცველებმა, ბრალდებულის პირადი ჩხრეკისას, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და 26 საბრძოლო ვაზნა. შემთხვევის ადგილის მიმდებარე ტერიტორიიდან კი ამოღებულია ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლილი 6 მასრა.

პოლიციამ, გ.ს.-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, ნივთმტკიცების სახით ამოიღო გადაჭრილი სანადირო თოფი – ე.წ. აბრეზი და საბრძოლო ვაზნები.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, ასევე, 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რაც გულისხმობს ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებასა და ცეცხლსასროლი იარაღით ჩადენილ ხულიგნობას.

დვალიშვილის მეტოქე ქართველებს ემუქრება



ქართველი მებრძოლი, მერაბ დვალიშვილი, რომელიც UFC-ში წარმატებით ასპარეზობს, 2 მაისს, ამერიკელ კოდი სტამანს შეხვდება. როგორც კი ორთაბრძოლის თარიღი დაანონსდა, სოციალურ ქსელში, გულშემატკივრებს შორის მეტოქეობაც გაიმართა. როგორც ჩანს, ქართველმა გულშემატკივრებმა აშკარად გადაამლაშეს.

„მინდა გითხრათ, რომ ვიცი, მერაბი კარგი ბიჭია. აი, ქართველი გულშემატკივრები კი თამამად იჩენენ უპატივცემულობას და ამჟღავნებენ თავხედობას. არ მაღელვებს, რას ამბობთ ჩემზე, მაგრამ როცა ჩემს ოჯახს ეხებით, ეს უკვე პირადული ამბავია. მე ამ ბიჭს არა მხოლოდ მოვუგებ, არამედ, თავს უხერხულად ვაგრძნობინებ. ბრძოლის დღეს, მისი სისხლი თქვენს ხელებზე იქნება“, – დაწერა სტამანმა სოციალურ ქსელში.

გულშემატკივრებს მიმართა მერაბმაც და სთხოვა, რომ მისი მეტოქის ოჯახის წევრების შეურაცხყოფისგან თავი შეიკავონ. დვალიშვილმა ისიც აღნიშნა, რომ ეს პირველი შემთხვევა არაა, როცა მისი გულშემატკივრები, სოციალურ ქსელში, მისი მეტოქის ოჯახის წევრებს აუგად მოიხსენიებენ, რაც მისასალმებელი არაა.

შენგელია ომობს, ცსკა აგებს

საკალათბურთო ევროლიგის მორიგ ტურში, მოსკოვის ცსკა-მა, საკუთარ მოედანზე, უშუალო კონკურენტ „ოლიმპია მილანოსთან“ წააგო. შეხვედრა დაძაბულად წარიმართა და საბოლოოდ, იტალიელთა გამარჯვებით – 84:76 დასრულდა.

შედეგის მიუხედავად, მოედანზე, ერთ-ერთი საუკეთესო, საქართველოს ნაკრების კაპიტანი, თორნიკე შენგელია იყო. მან თანაგუნდელთაგან, პარკეტზე ყველაზე მეტი, 34 წუთი გაატარა და საერთო ჯამში, 20 ქულა, 10 მოხსნა და 2 შედეგიანი გადაცემა მიითვალა. თუმცა, ფაქტია, შენგელიას ორმაგმა დუბლმა არმიელებს ვერ უშველა.

კვარაცხელიას სანახავად, თბილისში, მთელი იტალია მოდის

ხვიჩა კვარაცხელია არა მარტო ყაზანის „რუბინის“, არამედ, მთელი რუსული პრემიერლიგის გამორჩეული ფეხბურთელი რომ არის, არავინ კამათობს. რუსი კომენტატორებიც კი აღიარებენ, რომ ხვიჩას სახით, მსოფლიო ფეხბურთს უდიდესი ვარსკვლავი ეზრდება. არც იმას მალავენ, რომ ამ ბიჭს, სეზონის ბოლოს, „რუბინში“ არავინ გააჩერებს და ის რომელიმე ტოპ-გუნდში გადავა. კვარაცხელიამ პრემიერლიგის ბოლო ტურშიც გაიბრწყინა – „უფასთან“ შეხვედრაში, გოლი და საგოლე გადაცემა მიითვალა.

„28 მარტს, მსოფლიოს 2022 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩში, საქართველოს ნაკრები ესპანეთს მასპინძლობს. ამ შეხვედრის სანახავად, თბილისში, იტალიიდან რამდენიმე სკაუტი ჩადის და მათი მთავარი მიზანი კვარაცხელიაზე დაკვირვება იქნება“, – წერს ევროპული მედია.

ისინი არ მალავენ, რომ თბილისს, „იუვენტუსის“, „მილანისა“ და „რომას“ წარმომადგენლები ეწვევიან. რამდენად მოახერხებს თავის გამოჩენას ესპანეთის უძლერეს ნაკრებთან ქართველი შემტევი, 28-ში ვნახავთ, თუმცა მანამდე, 25 მარტს, საქართველოს ნაკრებს შვედეთთან გასვლითი შეხვედრა ელოდება.

ბასილაშვილი ხუთი საფეხურით დაწინაურდა

დოჰაში მოგებული საჩოგბურთო ტურნირის შემდეგ, მთავარი განხილვის თემა ის კი არ არის, რა მიიღო ამ გამარჯვების სანაცვლოდ ქართველმა ჩოგბურთელმა, არამედ, მოძალადეა თუ არა ბასილაშვილი და უხდის თუ არა შვილს ალიმენტს. მოდით, ამ თემების გარკვევა სასამართლოს მივანდოთ და არც იმ თანხების დათვლა დავიწყოთ, რომელიც დოჰაში, ნიკამ მიიღო.

ტურნირის ჩემპიონობამ ჩვენებურს 250 სარეიტინგო ქულა მოუტანა და თუ ის დოჰაში, 42-ე ნომრად ჩავიდა, შინ, 37-ე ნომრად გაემგზავრა. ხუთი საფეხურით დაწინაურება ძალიან კარგია და რაც მთავარია, ეს საფუძველია იმისა, რომ მომდევნო ტურნირებზე, ნიკას თავდაპირველად, სუსტი მეტოქეები ეყოლება, რაც ავტომატურად, წარმატების შანსებს ზრდის.

რონალდუს აღიარება: „პელეს რეკორდი გავაუმჯობესე“

იტალიის სერია A-ს ბოლო ტურში, კრიშტიანუ რონალდუმ ჰეთ-თრიკი შეასრულა, შემდეგ კი ის განცხადება გააკეთა, რომელსაც კარგა ხანია, მისგან ელიან. მოგეხსენებათ, მსოფლიო ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის ფედერაციამ, დაახლოებით, ერთი თვის წინ დაწერა, რომ პორტუგალიელმა, ლეგენდარული პელეს რეკორდი დაამხო და მასზე მეტი გოლი გაიტანა, თუმცა ამ ფაქტს, თავად პელე უარყოფდა, აქაოდა, მეტი მაქვს გატანილიო, რონალდუ კი საერთოდ კომენტარს არ აკეთებდა.

„მე, პელეს 757-გოლიანი რეკორდი ახლა გავაუმჯობესე. ახლა დროა, აგიხსნათ, რატომ არ ვსაუბრობდი ამ რეკორდზე დღევანდელამდე. მე-20 საუკუნის ფეხბურთის მიმართ, უდიდესი პატივისცემა მაქვს. ამ ყველაფერმა მიბიძგა, რომ პელეს 10 გატანილი გოლი ოფიციალურად ჩამეთვალა. როგორც ის ამტკიცებდა, 9 გოლი „სან-პაულუს“ სახელმწიფო გუნდის შემადგენლობაში გაიტანა, ერთი კი ბრაზილიის სამხედრო გუნდის შემადგენლობაში და ამბობდა, რომ ესენი ოფიციალური შეხვედრები იყო. დღეს მე 770-ე ოფიციალური გოლი გავიტანე და მინდა, პირველი სიტყვა პელეს მივუძღვნა. მსოფლიოში არ არსებობს ფეხბურთელი, რომელიც მის ისტორიებზე არ გაიზარდა. ყველა ისმენდა ამბებს პელეს მიღწევებზე, გოლებსა და შედეგებზე. გამონაკლისი არც მე ვარ! ამ მიზეზით კი, მე სიამაყით ვივსები. გავაუმჯობესე ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელის რეკორდი! ამას ვერასდროს იოცნებებდა ბიჭი, რომელიც ერთ დროს, მადეირაზე, უღარიბეს ოჯახში იზრდებოდა“, – განაცხადა რონალდუმ.

გიორგი ჩუთლაშვილი

დაიბადა 1991 წლის 23 ოქტომბერს, ქალაქ თბილისში. მისი ლექსების დებიუტი 2012 წელს, ჟურნალში – „ჩვენი მწერლობა“ შედგა. 2015 წლიდან, ლექსებს აქვეყნებს ჟურნალებში – „ახალი საუნჯე“, „ელექტროლიტი“ და „არილი“. 2016 წელს, გამომცემლობამ „კალმოსანი“, გამოსცა გიორგის სადებიუტო კრებული „მზის პოსტერი“. 2017 წელს, მონაწილეობდა თბილისის მე-3 საერთაშორისო ლიტერატურულ ფესტივალში. 2019 წელს, მონაწილეობდა პროექტში – „მსოფლიო კედლების გარეშე“, ხოლო 2020 წელს – „ლიტერატურა სოლიდარობისთვის“.

მშრალი თევზის წონასწორობა

წყლიდან გაუფრთხილებლად ამომიყვანეს
და ახლა ღელავენ, რომ
ამაზე კრინტი არ დავძრა.
ცივ მიწაზე არ წამოვწვე.
ღამე ვარსკვლავებს არ ვუყურო.
დილით ვინმე არ შევიყვარო.
საღამოს ვინმე არ შევიძულო.
ღრუბლის ფსკერზე ჩემი ცოდვები
არ ამოტივტივდეს
თვითმფრინავივით
და ძლიერი ქარის საშიშროება
არ ვიგრძნო.
ჩემი მზერა ვიღაცის მიწამ
არ ჩაყლაპოს.
მოულოდნელად, არ გავცივდე
და სიზმრების ანთება არ დამემართოს.
შუბლზე ნაოჭები არ გამიჩნდეს
და ნაოჭებს შორის მზე არ ჩავიდეს
სამუდამოდ...
კისრიდან ოფლის ნაცვლად,
ათასერთი სიცოცხლე არ მოვიწმინდო
და უცებ სიმსუბუქე არ ვიგრძნო.
ჭვავის პურიდან ნამცეცები არ ამოვძირკვო
და ზამთრის ბეწვი არ მიმეკროს მარჯვენა
ხელის საჩვენებელ თითზე,
მარცხენა ხელით კი ჰაერი არ ჩავხუთო.
ჭიქა წყლით არ ავავსო და
თავი არ დავიხრჩო სხვის ჭიქაში,
ან ონკანის წყალმა არ წამიღოს
გაურკვეველი მიმართულებით...
წყლიდან გაუფრთხილებლად ამომიყვანეს
და მიუხედავად იმისა, რომ მათი სახეები
შმიტის „ნოეს შვილივით“ მახსოვს,
თავს ვიმაგრებ და ამის შესახებ
არაფერს ვამბობ...

დანაკარგი

1

დროდადრო ვკარგავ ღრუბლებს შორის ტერიტორიებს.
ტერორისტის ყუმბარასავით ხელში უიმედობის
ჯოხი მიჭირავს და ვისზე
გადატყდება თუ არა ჩემზე?!

დროდარდო ციდან მეტეორის მსგავს პურს მესვრიან,
ვიღაცის მკვდრები...
ჩემმა მკვდრებმა კი, ნუთუ, დამივიწყეს?
ნუთუ, წაუყრუეს
ჩემს თამაშის წესებს
და მტვირთავი გამხადეს
თავიანთი განსაცდელების?!..
ნუთუ, ის ხმა, რაც მიწის ზედაპირზე დაცემისას
აღმომხდა, ვერ გაიგეს?
და თუ ვერ გაიგეს,
ვერც ჩემს ვითომ – უდარდელობას
ვერ წამოიყვირებენ.
ვერც ჩემს სახეს ვერ ამოჭრიან
მიწის ძირიდან...

2

დროდადრო ვაჯამებ ჩემს დანაკარგს:
სახეებს – სახლებს;
ღრუბლებს – საყვარლებს;
ჩიტებს – თვალებს;
ცდუნებებს – დღეებს...
და მინდა მეგონოს, რომ არ შემშლია
ის ადგილი, სადაც
დიდი დანაკარგით გაქონილ ტანს
ზანტად მივათრევ...
და მინდა მეგონოს, რომ არ შემშლია
სააქაო...
და მინდა მჯეროდეს, რომ საიქიოც
არ შემეშლება...

უხამსი წინადადება

ამ დღის წინადადებაც უხამსია...
გრძნობს, რომ დავნებდები,
ხელს არ ავუქნევ, მუშტს არ მოვუღერებ...
ფოტოს გამჟღავნებასაც არ მაცდის,
არადა, ფოტოში შენ უნდა გამოჩნდე ცოტა ხანში,
ჩემს სახლთან ახლოს და გამიღიმო...
ეს უხამსი დღე კიდევ მაიძულებს, რომ ვიჯდე
და ვწერო ეს სტრიქონები გაუთავებლად...
სადაც ჩემი თავიც გამოჩნდება, ალბათ,
დღეს, ან ხვალ,
ან ვიღაცის ცა, ან ჩემი მეგობარი გოგოს
პერანგის ღილები... ან სილვია პლათის
ძუძუსთავები...
დრო კი არ ითმენს, პოსტკლასიკური
ტკივილების დრო წავიდა...
ახლა მუსიკაც უხმოდ მძვინვარებს...

„ტოიოტას ჯიპს,
ჩემს ქუჩაზე ძაღლი გაეკიდა და
მე წერა დავიწყე“

ევა, მე შევცდი. ადამ, შენ შეცდი

ევა, მე ერთხელ, „თევზის ხიდზე“, წყალი ჩამიტყდა,
მიწაში ჩავვარდი და ახლა მიწიდან გელაპარაკები...

1

ბრინჯის ყანიდან, როცა ჩემს ჩრდილს
შორს ვაცილებდი და სიბრიყვის ქუდს
ცისკენ ვისროდი,
შენი ხმა მომესმა, ევა,
შიშველი ვიყავი და შემრცხვა.
შენ არ გამოჩნდი და შემრცხვა.
თითქოს, მხრებზე თოვლივით
დამედო წარსული და შემცივდა კიდეც...
ევა, მე შევცდი, როცა მოვისურვე,
რომ ჩემი სიკვდილი სამოთხის იატაკივით
მომეპრიალებინა,
ზედ ფეხი ამცურებოდა და მერე,
შენ გულიანად გეცინა ჩემზე,
თან იმედგაცრუებაც გამოგეხატა...

„სიკვდილს მასტიკა არ უხდება!..
– მისტიკა?!
– დიახ...“

ევა, მე შევცდი, როცა მეგონა, რომ დროს
სიტყვები აღარ ეყოფოდა ჩვენთვის სათქმელად
და ერთ ჩვეულებრივ, პირქუშ ღამეს,
სუყველას ერთად ჩაგვიფიქრებდა
საკუთარ გულში, როგორც:
ღრუბელი – ცისარტყელას;
ტყუილი – ნუგეშს;
სირცხვილი – ტკივილს.
მეგონა, რომ დრო, პირქუშ ღამეს
ჩაგვიფიქრებდა საკუთარ გულში
იმის დასანახად, ვინც ჩვენ მოგვიხმო
ზამთრის სუსხში, გამთენიისას...
ევა, მე შევცდი, როცა ხანძარი გავაჩინე
სირცხვილის ბაღში, მაგრამ
შენ არ შემცდარხარ, როცა ადამი გააჩინე
ამ ხანძარივით
და სიცრუე დაწვი ჩემი წიგნივით...

„აღარ მინდა იმ წიგნის გახსენება!..“

ევა, მე შევცდი, როცა შევბრუნდი
დაუმორჩილებლობის პორტრეტისკენ
და ვტკეპნე ჩემი დაბადება
უცხო სხეულის ნატკენ მხარზე,
ზამთრის თოვლივით,
ნაფეხურებს რომ აღარ იმჩნევს
და სულ ახლიდან ჩნდება.
ევა, მე მხოლოდ მაშინ არ შევმცდარვარ,
როცა ვთქვი, რომ შენს სიცოცხლეში ბეწვი დავინახე,
ჩემში კი დირეც ვერ შევამჩნიე.
სიყვარულში კი, პირიქით...
ჩემს სიყვარულში დირე დავინახე,
შენს სიყვარულში კი ბეწვი ვერ შევამჩნიე...
ევა, მე ვიცრუე, როცა გითხარი:
აჰაა, წაიღე ჩემი ხორცი
სხვის დანთებულ ცეცხლთან გამთბარი.
სხვის ღამეში გამოღვიძებული და
დეკემბრის უამინდობებით გამოფიტული.
ევა, მე ზამთარი გადამიბრუნდა
სადღაც, ფეხივით და ფეხი სიბრალულივით...
ევა, მე ენაზე და ჩემს დარჩენილ ცხოვრებაზე
ერთნაირად ვიკბინე...
ევა, მე შევცდი...

2

ადამ, შენ შეცდი, როცა ჩვენს ანტიკურ
და მოდერნისტულ სიზმრებს და შიშებს,
როგორც მეძავის გაუხეშებულ კანს,
ისე დაუწყე ხელის ფათური და
წამით არ შეგრცხვა...

ადამ, შენ შეცდი, როცა მტვერი დაიდე
აწმყოზე და სიფხიზლის და სიფრთხილის
მაგიდა არ გადაწმინდე...
ადამ, შენ შეცდი.
მიწიდან იყავი აღებული
და წყლიდან აღებულს დაემსგავსე...
სასოწარკვეთილების
ტბაში გაცურე
და ახლა იხრჩობი
არა წყალში...
არა მიწაში...
არამედ, საკუთარ გულში...

„ადამ, წყალი და მიწა შენი ცრემლიდან ჩუმად ავიღე
და არ ავამღვრიე...“

სისულელეა, ადამ, ჩემი ძმა გერქვას.
ყავახანაში ვისხდეთ და ყავას ვწრუპავდეთ.
ლუდხანაში ვისხდეთ და
ლუდს და თევზს მივირთმევდეთ.
სხვების ცოდვებს თვალით ვჭამდეთ,
ჩვენსას კი – ხელით
და ვძღებოდეთ:
პურით,
თევზით
და
ათასი ცოდვით...

რატომ გადადგა თანამდებობიდან სააკაშვილის გუნდის წევრი ირაკლი ეზუგბაია

11 მარტს, უკრაინის რკინიგზის კომერციულმა და ლოგისტიკურმა დირექტორმა, ირაკლი ეზუგბაიამ საგანგებო პრესკონფერენციაზე, თანამდებობიდან გადადგომის შესახებ სკანდალური განცხადება გააკეთა, თუმცა არავინ ელოდა, რომ ღიად განაცხადებდა უკრაინის რკინიგზაში არსებული კორუფციის შესახებ. არადა, ეზუგბაიამ სწორედ ამაზე მიანიშნა, როცა თქვა, რომ „არსებობენ ძალები, რომლებიც არ არიან დაინტერესებულნი ეროვნული სატვირთო გადაზიდვით. აშკარაა, რომ იმას, რაც უკრაინის რკინიგზის საკუთრებაა, ვიღაც სხვა იჯიბავს. სამწუხაროდ, მე ისინი შევავიწროვე“.

ვინ არიან ეს ძალები, ვის გულისხმობდა ეზუგბაია და ვინ აიძულა, რომ თანამდებობიდან წასულიყო? – ფაქტია, ეზუგბაიამ უკრაინის სატვირთო გადაზიდვების ბაზრის მოთამაშეების ინტერესები გადაკვეთა და სამწუხაროდ, თანამდებობა დაატოვებინეს.

ეზუგბაიას პრესკონფერენციამდე ერთი დღით ადრე, უკრაინის რკინიგზის თავმჯდომარე ჟმაკმა, საგანგებო ბრიფინგზე პრეტენზია გამოთქვა, რომ **„კომპანიის სამეთვალყურეო საბჭომ დაბლოკა უკრაინის რკინიგზის დაყოფის პროცესი ოთხ ფილიალში და სამაგიეროდ არაფერი შესთავაზა“.**

საქმე ისაა, რომ უკრაინის რკინიგზის რეფორმის ფარგლებში, ოთხ ფილიალს უნდა დაეწყო ფუნქციონირება: სატვირთო, სამგზავრო, კონტეინერების ტრანსპორტირებასა და ინფრასტრუქტურის ოპერირებას. უკრაინის რკინიგზის გამიჯვნა მთავარი ვალდებულებაა ევროპელი პარტნიორების მიმართ. ირაკლი ეზუგბაია, საქართველოს რკინიგზის ყოფილი ხელმძღვანელი და საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მოკავშირე, უკრაინის რკინიგზის სატვირთო გადაზიდვის ანუ ყველაზე შემოსავლიანი მიმართულების ხელმძღვანელი უნდა ყოფილიყო.

15 იანვარს, დაიწყო დაყოფის პროცესი: UZ Cargo და ინფრასტრუქტურის ოპერატორი UZ Infra, პირველები გაიყვნენ. ამასთან, თებერვლის დასაწყისში, კომპანიის სამეთვალყურეო საბჭომ დაბლოკა UZ Cargo-სა და UZ Infra-ს შექმნის გადაწყვეტილება. **„ამის შემდეგ, ჟმაკმა და ეზუგბაიამ დაიწყეს რეფორმა სამეთვალყურეო საბჭოსთან კონსულტაციის გარეშე, თუმცა ეს წესდებით უნდა გაკეთებულიყო, ამიტომაც გაყოფის პროცესი შეჩერდა“,** – განაცხადა LIGA.net-თან საუბარში, ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენელმა. სამეთვალყურეო საბჭო კი აცხადებს, რომ UZ Cargo-სა და UZ Infra-ს შექმნის არანაირი პრობლემა არ არის და არავინ ეწინააღმდეგება მას, უბრალოდ ეს უნდა გააკეთოთ თანდათან.

„მე არ მსურს ფაქტების დაკავშირება, მაგრამ

უკრაინის რკინიგზის სკანდალის უცნობი კულუარები

უკრაინის რკინიგზის რეფორმა ნელა მიმდინარეობს“, – განაცხადა ეზუგბაიამ, 11 მარტს გამართულ პრესკონფერენციაზე.

2020 წლის შემოდგომაზე, უკრაინის პარლამენტში შეიქმნა დროებითი საგამოძიებო კომისია, 2017-2020 წლების უკრაინის რკინიგზის საქმიანობის შესასწავლად და კომპანიის ამჟამინდელი საბჭოს კომპეტენციის შესაფასებლად. ამ უკანასკნელი გადაწყვეტილების საფუძველი გახდა უკრაინის რკინიგზის ინდიკატორების კოლოსალური ვარდნა, ხელმძღვანელობის არაპროპორციულად მაღალი ხელფასები და კომპანიის თანამშრომლების მძიმე სოციალური მდგომარეობა.

უკრაინის რკინიგზის გარშემო ატეხილ ორივე კონფლიქტს, წინ უძღვოდა გახმაურებული მოვლენა – იანვარში, შემოვიდა ახალი სერვისი „ჰოლანდიის აუქციონი“ – ProZorro. სადავო გახდა საქონლის ტრანსპორტირება შეთანხმებული პირობებითა და მოცულობებით (საკუთარი მანქანებით). უკრაინის რკინიგზამ შესთავაზა საქონლის გადატანა სამი წლის განმავლობაში – 2021 წლის 1 თებერვლიდან, 2024 წლის ბოლომდე, ფიქსირებულ ფასად. იანვრის ლოტების მთავარი გამარჯვებული გახდა ერთი მოთამაშე – Metinvest-Shipping, რომელიც რინატ ახმეტოვის ჰოლდინგური კომპანიის – SCM ნაწილია და აუქციონზე ფასი თითქმის ორჯერ დაეცა.

მოკლედ, ამის შემდეგ, ომი დაიწყო ოლიგარქების წინააღმდეგ. ახმეტოვის გამარჯვება ბაზრის მონაწილეებისთვის მოულოდნელი არ ყოფილა, რადგან რკინიგზის ტრანსპორტით ასეთი მოცულობის ტვირთის – ამდენი მანქანის გადაზიდვა მხოლოდ ამ კომპანიას შეეძლო, მით უმეტეს, ერთდროულად სამი წლის განმავლობაში. უკრაინის რკინიგზის ხელმძღვანელი კი დარწმუნებული იყო მოვლენების განსხვავებულ ლოგიკაში და ოპონენტები პირადი მანქანების მფლობელებთან საერთო თამაშში დაადანაშაულა. პარადოქსია, რომ მათ შორის ყველაზე დიდი მოთამაშე, იგივე ახმეტოვია.

მომზადებულია უკრაინულ ინტერნეტ-საიტებზე დაყრდნობით

ბუშტებისგან საცოლეს კაბა შეუკერა

ჩინეთის ქალაქ ცინდაოს მცხოვრებმა ახალგაზრდა მამაკაცმა, საცოლეს, 600 ბუშტისგან ორი საქორწინო კაბა შეუკერა. საპატარძლომ, საქმროსთან ერთად, ქალაქის ქუჩებში გაისეირნა და ფოტოსესიაც მოაწყო. სასიძოს – 25 წლის ლუ კეპენს, რომელიც ქორწილების ორგანიზატორია, უჩვეულო საპატარძლო კაბის მოფიქრებასა და მის "შეკერვაზე" ერთი ღამე დასჭირდა. ერთი კაბა თეთრია, რომელიც საქორწინო ცერემონიისთვისაა გათვალისწინებული, მეორე კი – ფერადია. ახალგაზრდა კაცის თქმით, ამ საქციელით, საცოლეს დაუმტკიცა, რამდენად ძლიერ უყვარს ის.

უჩვეულო ვაკანსია გამოაცხადეს

ავსტრალიაში, ტასმანიის კუნძულ ფლინდერსზე, ვაკანსია გამოცხადდა, რომლის დაკავების მსურველმაც, ვომბატის დაობლებული პატარა უნდა ჩაიხუტოს ხოლმე. სამუშაო, სავარაუდოდ, სამდღიანი იქნება. ამ პერიოდში, წარმატებულმა კანდიდატმა უნდა იცხოვროს კუნძულზე, სადაც ცხოველი, სახელად დერეკი უნდა გაართოს და მოეფეროს.

იმ ტურისტული კომპანიის წარმომადგენელის თქმით, რომელმაც ვაკანსია გამოაცხადა, პატარა ვომბატი დედის ჩანთაში იჯდა, როდესაც მანქანამ გაიტანა. პატარა დათვების მსგავსი, ბალახისმჭამელი ეს ცხოველები, ავსტრალიის სამხრეთ და აღმოსავლეთ ნაწილში არიან გავრცელებულნი. მათი ზომა 130 სანტიმეტრამდეა, წონა კი 20-45 კილოგრამს აღწევს.

ბანკიდან 1 დოლარი მოიპარა

აშშ-ის ჩრდილოეთ კაროლინას პოლიციამ, 59 წლის რიჩარდ ვეროუნი, ქურდობის ბრალდებით, მას შემდეგ დააპატიმრა, რაც ის ბანკიდან, 1 დოლარის მოპარვას შეეცადა. „დამნაშავე“ ამგვარად ცდილობდა, ციხეში მოხვედრას, რათა იქ სამედიცინო დახმარება მიეღო. სამართალდამცავთა თქმით, მამაკაცი შევიდა ბანკში, მოლარეს წერილი მიაწოდა და იარაღის მუქარით, ფული მოსთხოვა. მერე იქვე, სკამზე დაჯდა და მშვიდად დაელოდა პოლიციის მოსვლას.

ვეროუნის თქმით, 1 დოლარი იმის დასამტკიცებლად მოითხოვა, რომ მას ფული კი არ უნდოდა, მხოლოდ სამედიცინო დახმარების მიღება სურდა. მამაკაცს გულის სიმსივნე და ორჯერ გამსკდარი თიაქარის დისკი აწუხებს, თუმცა უმუშევარია. ვეროუნი იმედოვნებს, რომ სამწლიანი პატიმრობა, რომელიც მას ემუქრება, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებაში დაეხმარება.

დამბლას დაამარცხებენ

ავსტრალიის სამხრეთ უელსის უნივერსიტეტის სწავლულებმა, მოზრდილი ადამიანების ძვლისა და ცხიმოვანი ქსოვილებისგან ღეროვნი უჯრედების მიღება ისწავლეს, რომელთაც ნებისმიერი ქსოვილის რეგენერაცია შეუძლიათ, მათ შორის, გატეხილი ხერხემლისაც. როგორც მეცნიერები აცხადებენ, ახალი მეთოდი საშუალებას იძლევა, მიიღონ ინდუცირებული ღეროვანი უჯრედები ან პროგენიტორული უჯრედები, რომლებიც გარკვეულ ქსოვილებად გარდაქმნებინა.

ასეთი მიდგომა ლაბორატორიულ თაგვებზე გამოსცადეს, პირველი კლინიკური ცდების დაწყებას კი წლის ბოლოსთვის გაგმავენ. ახალ თერაპიას უდიდესი პოტენციალი აქვს ზურგისა და კისრის მკურნალობაში, ასევე, ზურგის დისკის, სახსრებისა და კუნთების ტრავმის მკურნალობის დროს.

მსურველებს „იდუმალ რეისებზე“ იწვევენ

ავსტრალიურმა ავიაკომპანია Qantas-მა, „იდუმალი რეისები“ მოიფიქრა, რათა ქვეყანაში შიდა ტურიზმი წაახალისოს. ჯერჯერობით, „მწვანე კონტინენტიდან“ საზღვარგარეთ წასვლა აკრძალულია. ერთდღიანი ტურები გაყიდვაში ცოტა ხნის წინ ჩაეშვა. გაფრენა მოხდება ბრისბენიდან, სიდნეიდან და მელბურნიდან. ყოველი ფრენა, დაახლოებით, ორ საათს გაგრძელდება.

რეისის დროს, მგზავრებს შესაძლებლობა ექნებათ გამოიცნონ, რა მიმართულებით გაფრინდებიან, ფრენის ტრაექტორია მათი სავარძლების საზურგეზე დამაგრებულ ეკრანებზე გამოჩნდება. ავიაკომპანია მგზავრებს რამდენიმე მინიშნებასაც აძლევს: ბრისბენის რეისები „სოფლის მასპინძლობის“ მოყვარულებს მოეწონებათ, სიდნეის მიმართულება ტროპიკები იქნება, მელბურნიდან კი ბუნებაში დასვენების მოყვარულები გაფრინდებიან. „იდუმალი რეისის“ საფასური 577 დოლარია ეკონომ-კლასისთვის, ბიზნეს-კლასის მსურველებს კი 1225 დოლარის გადახდა მოუწევთ.

კარანტინის გავლას იახტაზე სთავაზობენ

პანდემიის პირობებში მოგზაურებს, როლებიც ტაილანდში ჩავლენ, შესაძლებლობა ექნებათ, ორკვირიანი კარანტინი იახტაზე გაიარონ. ქვეყნის მთავრობა იმედოვნებს, რომ ეს ინიციატივა, ტურიზმის სფეროში, დაახლოებით 58 მილიონი დოლარის მოზიდვაში დაეხმარებათ და ამით ინდუსტრიას ჩამოშლისგან იხსნიან, რომელიც კორონავირუსის გამო, ყველაზე მეტად დაზარალდა.

საზღვრების ჩაკეტვის გამო, პოპულარულ ტურისტულ ადგილებზე სტუმრების რაოდენობა, დღეში 50 ათასიდან, რამდენიმე ასეულამდე დაეცა. ახალი პროექტით, კოვიდზე უარყოფითი ტესტის მქონე ტურისტებს ნებას დართავენ, დრო იახტაზე, ან მცირე ზომის საკრუიზო ლაინერებზე გაატარონ. მათ „ჭკვიან სამაჯურებს“ გაუკეთებენ, რომლებითაც მგზავრების სასიცოცხლო მაჩვენებლებს გააკონტროლებენ.

ჩერილი გაუხსნელად ჩაიკითხეს

მეცნიერებმა პირველად შეძლეს ძველი წერილის წაკითხვა ისე, რომ არ გაუხსნიათ. სწავლულები იმედოვნებენ, რომ ასეთი ტექნოლოგია, მათ ძვირფასი ისტორიული დოკუმენტების შესწავლაში დაეხმარება. წერილი, რომელიც ფრანგმა ვაჭარმა, ჟაკ სენაკამ დაწერა, ჰააგაში მცხოვრებ ბიძაშვილს, 1697 წელს გაუგზავნა, თუმცა წერილს ადრესატამდე არ მიუღწევია. დღეს, ის კერძო კოლექციის ნაწილია, რომელშიც 2 600 წერილი შედის. ეს წერილები, ევროპის სხვადასხვა ნაწილიდან, XVII-XVIII საუკუნეებში გააგზავნეს.

მეცნიერებმა ფრანგი ვაჭრის წერილი რენტგენის სხივებით დაასკანერეს, შემდეგ კი დოკუმენტი ფრაგმენტებად დაჰყვეს და მისი ციფრული, სამგანზომილებიანი ასლი შექმნეს. წერილი ვირტუალურად, კომპიუტერული პროგრამის დახმარებით გახსნეს. მეცნიერები დარწმუნებულები არიან, რომ ისტორიული ტექსტების კვლევაში, ეს უდიდესი წინგადადგმული ნაბიჯია, რადგან მაღალმგრძნობიარე რენტგენული სკანერი საშუალებას იძლევა, ისინი დაზიანების რისკის გარეშე შეისწავლონ.

სექსუალურ მოძალადეებს გააკონტროლებენ

ბელგიის დედაქალაქის პოლიცია და პროკურატურა თანამშრომელთა სპეციალურ ჯგუფს ქმნის, რომელსაც ბრიუსელის ქუჩების პატრულირება და სექსუალურ მოძალადეებთან შებრძოლება დაევალება. 2014 წლიდან, ქვეყანაში შეურაცხყოფა და საჯაროდ ძალადობის მცდელობა, ერთთვიანი პატიმრობით, ან 100 ევრომდე ჯარიმით ისჯება. ხელისუფლება იმედოვნებს, რომ ახალი პროექტი დედაქალაქს უფრო უსაფრთხოს გახდის და გააუმჯობესებს გოგონებისა და ქალბატონების ცხოვრების ხარისხს.

2019 წელს, სექსუალურ ძალადობაზე განცხადება ბელგიის სულ 71-მა მცხოვრებმა შეიტანა. ბევრმა არც კი იცის, რომ ჩივილი შეუძლია, თუმცა შემთხვევითი მოძალადის იდენტიფიცირება და მისთვის ბრალის დამტკიცება ძალიან ძნელია. სწორედ ამიტომ, ბრიუსელის პოლიციის სპეციალური დანაყოფი დააკვირდება გამვლელებს და ძალადობის ფაქტებსაც დააფიქსირებს.

მანათობელი ტატუ შექმნეს

სწავლულებმა „ჭკვიანი ტატუ“ შექმნეს, რომელიც ანათებს. მისი გამოყენება შეიძლება, როგორც სამედიცინო გადამცემის, ან საკვებზე დატანის სახით, ძირითადად, იმის გასაგებად, საკვები ახალია თუ არა. მკვლევარების თქმით, ასეთი ტატუ გაანათებს მაშინ, როცა მაგალითად, სპორტსმენს გაუწყლოვანება დაემართა, ან მზის დარტყმა მიიღო. საკვებ პროდუქტებზე მისი დატანისას კი გავიგებთ, ვადაგასულია თუ არა პროდუქტი.

ამგვარ ტატუს, კანზე „გადაყვანის“ პრინციპით გაიკეთებთ: ნახატი სპეციალურ ქაღალდზე შესრულდება, შემდეგ კანზე დააკრავენ და დაასველებენ. ტატუს მოშორებას წყლითა და საპნით ჩამობანის შედეგად მოიშორებთ. მანათობელი ტატუ მუდმივი არ არის – ჰაერთან კონტაქტისას, ის ფუნქციონირებას მოკლე დროში წყვეტს.

პატარძალი ტირილით მოკვდა

ინდოეთში, ახალგზრდა ქალი, საკუთარი ქორწილის დღეს, ტირილით მოკვდა. როგორც გამოცემა India Today წერს, ინციდენტი საქორწინო ცერემონიის დასრულების შემდეგ, ეგრეთ წოდებულ, „ბიდააის“ რიტუალის შესრულების დროს მოხდა. ამ ტრადიციული რიტუალის დროს, გათხოვილი ქალი მშობლების ოჯახს ემშვიდობება. ეს პროცესი ინდოეთში მოთქმითა და ტირილით სრულდება. ატირებულმა პატარძალმა, მოულოდნელად, გონება დაკარგა და იატაკზე დაეცა. ექიმებმა დაადგინეს, რომ მას გული გაუჩერდა. სიკვდილი, სავარაუდოდ, ძლიერმა სტრესმა გამოიწვია.

ბაიდენის ძაღლები თეთრი სახლიდან გაყარეს

ამერიკული მედიის ინფორმაციით, პრეზიდენტ ჯო ბაიდენის ორ გერმანულ ნაგაზს თეთრი სახლი დაატოვებინეს. მიზეზი, ერთ-ერთი მათგანის „აგრესიული ქცევა“ გახდა. ცხოველები მშობლიურ დელავერის შტატში დააბრუნეს. პრეზიდენტის რეზიდენციიდან ძაღლების გაძევების მიზეზი ის იყო, რომ 3 წლის მეიჯორმა, დაცვის ერთ-ერთ წევრს უკბინა. ჩანს, შემთხვევა იმდენად სერიოზული იყო, რომ ორივე ძაღლი, უაპელაციოდ მიაბრძანეს თეთრი სახლიდან.

პრეზიდენტს ორი გერმანული ნაგაზი ჰყავს – 13 წლის ჩემპი და 3 წლის მეიჯორი. ეს უკანასკნელი, ბაიდენის ოჯახმა, 2018 წელს აიყვანა დელავერის ძაღლთა თავშესაფარიდან. ჩემპი ქცევის ეტიკეტს მეტ-ნაკლებად იცნობს, მოუსვენარი მეიჯორის ხასიათი კი საგანგებო წვრთნის კურსებმაც ვერ შეცვალა.

ყვირილით კორონავირუსს დაადგენს

ნიდერლანდელმა გამომგონებელმა, პიტერ ვან ვიზმა, მისი აზრით, კორონავირუსული ინფექციის გამოვლენის ყველაზე სწრაფი და მარტივი მეთოდი მოიფიქრა. „როიტერის“ ინფორმაციით, სასუნთქი გზებიდან ნაცხის აღების უასიამოვნო პროცედურის ნაცვლად, სწავლული მსურველებს, სპეციალურ დახურულ კაბინაში შესვლას და იქ დაყვირებას, ან წამღერებას სთავაზობს. კაბინაში დადგმული ჰაერგამწმენდი მოწყობილობა ყველა იმ ნაწილაკს იჭერს, რომელსაც ადამიანი გამოჰყოფს და მათ კორონავირუსზე შეამოწმებს.

„თუ ვირუსი გაქვთ, ყვირილისას, ათობით ათასს მის ნაწილაკს გამოაფრქვევთ“, – ამბობს ჰოლანდიელი. საკუთარი გამოგონებას ის ამსტერდამში შეამოწმებს. საკუთარი კაბინა კი, კორონავირუსის ტესტირების ცენტრთან ახლოს დადგა. ახალი მეთოდის მიხედვით, ეს პროცესი სულ სამ წუთს გრძელდება. გამომგონებელი თვლის, რომ მისი კაბინის დადგმა სასარგებლო იქნება საკონცერტო დარბაზებთან, აეროპორტებში, სკოლებსა და ოფისებში.

ნიდერლანდების ჯანდაცვის ეროვნულ ინსტიტუში აცხადებენ, რომ ჯერჯერობით, ვან ვიზის ახალ მეთოდს ვერც დაადასტურებენ და ვერც უარყოფენ, რადგან ამის შესახებ, ძალიან ცოტა რამ იციან.

კომპენსაცია ჩაშლილი დასვენებისთვის

ფინეთის მომხმარებელთა დავების გადაჭრის კომისიამ პირველად დაადგინა კომპენსაცია „შვებულებისგან მისაღები სიამოვნების დაკარგვისთვის“, – აცხადებს ქვეყნის საზოგადოებრივი მაუწყებელი. ანაზღაურება შეიძლება მიიღონ, მაგალითად, იმისთვის, თუ მომხმარებელი სასტუმროში საკვებით მოიწამლა ან ტკიპამ უკბინა. თუმცა, უბრალოდ, ნეგატიური განწყობა ან იმედგაცრუება ამ კომპენსაციის გადახდის საფუძვლად არ ჩაითვლება. კომისიის თავმჯდომარის განცხადებით, ანაზღაურება სიამოვნების დაკარგვისთვის, დაახლოებით, 100 ევრო იქნება.

ნიკოლას ქეიჯი მეხუთედ დაქორწინდა

ჰოლივუდის 56 წლის მსახიობი, ნიკოლას ქეიჯი მეხუთედ დაქორწინდა. ამჯერად, მისი რჩეული 25 წლის რიკო შიბატაა, იაპონიიდან. მსახიობის მორიგი მეუღლე, მასზე 31 წლით უმცროსია. საქორწინო ცერემონია ლას-ვეგასში შედგა.

გასულ წელს, შიბატა იაპონიაში დაბრუნდა, ქეიჯი კი ნევადაში დარჩა, რის გამოც წყვილი ნახევარი წლით დაშორდა. ნიკოლასმა შეყვარებულს ხელი ვირტულურად სთხოვა და ფოსტით ბეჭედი გაუგზავნა მისი საყვარელი, შავი ფერის ბრილიანტით.

ქეიჯის წინა ქორწინება 2019 წელს, ვიზაჟისტ ერიკა კოიკესთან ყველაზე ხანმოკლე იყო და სულ რაღაც, ოთხი დღით გაგრძელდა. მსახიობის ცოლები იყვნენ, ასევე, პატრისია არკეტი და ლიზა-მარია პრესლი. ნიკოლასს ორი ბიჭი ჰყავს – უესტონი და კალ-ელი.

ცხვირის სპრეი კორონას წინააღმდეგ

ფინეთში, ცხვირის სპრეის სახით, კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა შექმნეს. ის უკვე გამოსცადეს ცხოველებზე, ხოლო ადამიანებზე ტესტირებას სულ მალე დაიწყებენ. კუნთში შესაყვან ვაქცინასთან შედარებით, ცხვირის სპრეი უფრო მარტივი და ხელმისაწვდომია, – აღნიშნავენ სწავლულები.

პრეპარატზე ჰელსინკისა და აღმოსავლეთ ფინეთის უნივერსიტეტების მეცნიერები მუშაობდნენ. ფინეთში 70 ათასამდე კორონაინფიცირებულია. ქვეყანაში ვაქცინის პირველი დოზა 500 ათასამდე ადამიანმა უკვე მიიღო.

ევროპაში რუსული „ვაქცინის ტურები“ იყიდება

როგორც გერმანული გამოცემა „ბილდი“ წერს, ზოგიერთი ევროპული ტუროპერატორი, კლიენტებს „ვაქცინის საგზურებს“ სთავაზობს. მაგალითად, ნორვეგიული World Visitor, მომხმარებელს სამ-ოთხკვირიან SPA-ტურს სთავაზობს რუსეთში, რომლის დროსაც, შესაძლებელი იქნება რუსული ვაქცინა Sputnik V-ით აცრა. თუ ვინმეს რუსეთში დასვენება არ სურს, ვაქცინის საკუთარ დოზას მოსკოვის აეროპორტის სატრანზიტო ზონაში მიიღებს, შემდეგ კი თურქეთში გაემგზავრება დასასვენებლად.

საგზურში შედის ორი ავიაბილეთი, ტრანსფერი აეროპორტიდან და უკან, ასევე, ტრანსფერი ვაქცინაციის ცენტრში – თარჯიმნის თანხლებით. გარდა ამისა, ტურისტებს ოთხვარსკვლავიანი სასტუმროცელით. პირველი ინექციის შემდეგ, მათ შეუძლიათ სანკტ-პეტერბურგს, ან სოჭს ესტუმრონ. ეს ყველაფერი, მსურველს 3000 ევრო დაუჯდება. თავად ვაქცინაცია კი ამ საფასურში არ შედის, მისთვის ცალკე, დაახლოებით, 70-100 ევროს გადახდა მოუწევთ. მსგავსი „ვაქცინის საგზურების“ გაყიდვას აპირებს გერმანული ტუროპერატორი Fit Reisen.

ფორთოხლისგან ელექტროენერგიას მიიღებენ

ესპანური სევილია, ევროპაში პირველ ადგილს იკავებს ქალაქებს შორის, ფორთოხლის ხეების რაოდენობით. ის აქ, დაახლოებით, 50 ათასია. ერთი წლის წინ, ქალაქის საბჭომ მოიწონა საპილოტე პროექტი, მწარე ფორთოხლისგან ელექტროენერგიის წარმოების შესახებ. პანდემიის გამო, მის განხორციელებას მხოლოდ ახლა იწყებენ.

ანდალუსიის დედაქალაქში, ძალიან ბევრი გადამწიფებული ციტრუსი გროვდება. 5 700 ტონა ხილის მასა – ხელშემშლელია ქვეითებისთვისაც და დასუფთავების სამსახურისთვისაც. ციტრუსი სევილიაში, დაახლოებით, 1 000 წლის წინ, არაბებმა შეიტანეს. დღესდღეობით, წვენებისა და ხილფაფების მწარმოებლები უარს აცხადებენ ამ ნედლეულის გამოყენებაზე, რადგან ფიქრობენ, რომ ქალაქში მომწიფებული ხილი, მავნე ნივთიერებებით იქნება დაბინძურებული. რამდენადაც ლამაზია ფორთოხალი ხეებზე, იმდენად არასასიამოვნოა მათი გზებზე ნახვა – ქუჩები წებოვანი ხდება წვენისგან და ბუზებიც ეხვევიან.

ახალი ტექნოლოგიის წყალობით, ფორთოხალს ელექტროენერგიად აქცევენ. თავდაპირველად, 35 ტონის გამოყენებას აპირებენ. ციტრუსისგან წვენს გამოწურავენ და მისგან ბიოგაზს მიიღებენ, რომლისგანაც ელექტროენერგიას აწარმოებენ. ნარჩენებს კი ფერმერები სასუქად გამოიყენებენ.

ვისკის უდიდესი კოლექცია აუქციონზე გაიყიდა

შოტლანდიაში გამართულ აუქციონზე, მსოფლიოში, ვისკის უდიდესი კერძო კოლექცია გაიყიდა. ის ამერიკელ მეწარმეს, რიჩარდ გუდინგს ეკუთვნოდა, რომელიც კოლექციას 20 წლის განმავლობაში აგროვებდა. ალკოჰოლური სასმელის ნაკრებში ისეთი ცნობილი ბრენდების ვისკი შედის, როგორებიც არიან Bowmore, Springbank და Dallas Dhu.

კოლექციონერი 2014 წელს გარდაიცვალა, ეს რარიტეტული ალკოჰოლი კი გასაყიდად გუდინგის ოჯახმა გამოიტანა. აღსანიშნავია, რომ ამ კოლექციიდან, 60-წლიანი დაძველების ერთი ბოთლი შოტლანდიური ვისკი Macallan, ონლაინ-აუქციონზე, მილიონ გირვანქა სტერლინგად გაიყიდა.

ჟირაფების ექსკრემენტებით გათბებიან

ამ გრაციოზული ცხოველების დანახვისას, ალბათ, ვერავინ წარმოიდგენს, რომ მათი გამოყენება მეურნეობაშიც შეიძლება. სწორედ ამ საქმით დაკავდებიან საფრანგეთში, მენისა და ლუარას რეგიონების მცხოვრებლები. ადგილობრივი პრესის ცნობით, დუე-ლა-ფონტენში მდებარე ზოოპარკი, „მწვანე“ ბიზნეს-ინიციატივის განსახორციელებლად, 35 მესაქონლესთან გაერთიანდა, რაც 1 700 სახლის ეკოლგიურად სუფთა საწვავით – ჟირაფებისა და ძროხების ნაკელით გათბობას გულისხმობს.

ინოვატორები უკვე შეუთანხმდნენ მეთანის ადგილობრივ ქარხანას, რათა ზოოპარკისა და მესაქონლეებისგან მიღებული ნაკელი გამოიყენოს. გაზსადენის ამუშავება უკვე წლის ბოლოს იგეგმება. ექსპერტების გათვლებით, ამ გზით, წელიწადში 2 მილიონი კუბური მეტრი მეთანის მიღებაა შესაძლებელი, რაც საკმარისი იქნება 1 700 ოჯახის გასათბობად.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.